



კვალი  
ბიბლიოთეკა

XI.

ყოველკვირული გაზეთი.



№. 2

ორშაბათი, 6 იანვარი 1903 წლისა.

№. 2

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თვით 2 მან., თათი ნომერი—15 კაპ.  
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-ორის ქუჩაზე, № 35.  
 ტელეფონი № 734.  
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция «КВАЛИ».

**შინაარსი:** მეურნე და მეურნეობა, გ. შარმაღასის.— 1902 წელი ჩვენში.— 1902 უცხოეთში დ. კალხიძეელისა.— სხვა და სხვა ამბები.— კარესზანდუნიები.— რუსეთის ცხოვრება.— ჩაიხე, მთ. კოდრა ზეტრასი.— უკრაინა-გაზეთებიდან.— შავი ქვის სამე-ფოდან, ეფლისა.— ჭიათურის ვითარება, მ. შარმაღასისა.— წერილი რედ, მიმართ.— განცხადება

საბოლოო, სამეცნიერო და სალიტერატურო  
**ნახაზბიანი გაზეთი**

# „კვალი“

(წელიწადი მეურნეობა)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.  
 გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხელის სხვა თვით 2 მან. თათი ნომერი სხვა მხურათ.  
 ადრესის გამომცვლას თფილისს გარეთ ღირს ორ მანათ.

სხვის მოწერაებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილად მიიტანონ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция «КВАЛИ».

სხვის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად აზნაურების ქარვასლა); რეინის გზის სადგურზე შირკელი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარ-ტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადიქისთან, ვ. ბუკანაშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კაოსკში; ბათუმში სპირიტის ჭედის წიგნის მაღაზიაში; აზურგეთში და სხვა-სხვა-საქაში— ვ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში— კალასტრატე ჭიჭინაძისთან და გერასიმე ბერიძისთან; ყვრილასში— ივანე არდიშვილთან; დაბა ხანში— სასახლე სამკაიანხელაში; ძველ-სენაში— არსენ წითლიძისთან; აზურგეთში— დამენტი შავიშვილ-თან; საბუნხაში— დიმიტრი შვასიძისთან.


## მეურნე და მეურნეობა.

V.

ამნაირათ, იურიდიულ წყობილებას ქვეყნის მართვა-გამგეობას სახალხო მეურნეობაზე გავლენა აქვს სამი გზით: თავისი ორგანიზაციით, სამოქმედო ასპარეზის სივრცით და

შემოსავალ-გასავლით. ეს ორი უკანასკნელი გზა თავისთავით გამოდის პირველისაგან, ხოლო სამივე ერთათ წარმოადგენენ ერთს უფლებრივ განწყობილებას, რომლის ერთათ ერთი სა-ფუძველი საზოგადოების ჯგუფთა შორის საზოგადო ძალთა განხეთქილებაა. ვის ხელშია იკრიბება ეს ძალა, მის ხელში ვარდება მართველობა და თავის დაღს ასვამს მთელ ცხოვრებას. როცა ის ფეოდალთა ხელშია, მაშინ კერძო პირთა იდეალია ფეოდალთა განდობა და მით სათავეში ჩადგომა. ესევე ითქმის მოხელეებზედაც. თუ კი ესენია საზოგადოების მეთაურნი, ცხადია ყველა ნატრობს მოხელეობას და ამ მე-თაურთა შორის მოქცევას. განვითარებული და ენერგიული პირეი გაურბიან მეურნეობას და მრეწველობას და მოხელე-თა უფლებებით იმოსებიან. პატივი და მოწონება ამათ აქვთ და რაღა გასაკვირალია იქითკენ მიიღრცოდნენ მრავალნი. ამ მიმდინარეობას ხელს უწყობენ სასწავლებლები, რომელთა მთავარი მიზანია მოხელეს გამოზდა, ოჯახები, სადაც შეიღის გაჩინოვნიკებაზე („კაცათ გამოსვლა“) ოცნებობენ, დაწესე-ბულებები და ბოლოს საზოგადოება, რომელნიც მათ ჯილ-დოთი და თანაგრძნობით უხვდებიან. ასეთ პირობებში, ცხა-დაა, სახალხო ეკონომია ფერხდება. მას ყურადღებას აღარა-ვინ აქცევს და ალალ ბედზე მიშვებული ბორძიკ-ბორძიკით მიეჭანება.

მეორეთ, რაც უფრო ფართოა სარიიელი გამეფებული წყობილების მოქმედებისა, რაც უფრო ერევა ის სხვა და სხვა პირთა საქმეში და ცდილობს ყველაფერი მისი ნებართვით და დისტურით კეთდებოდეს, მით უფრო ვიწროა ადამიანთა თვითმოქმედება, მით უფრო დასუსტებულია ენერგია და გამ-ბედაობა. ეს გარემოება განსაკუთრებით ტვირთათ ედება ნიე-თიერ მდგომარეობას. არსათ იმდენი ძალა და დამოუკიდებ-ლობა არ არის საჭირო, რამდენიც ეკონომიურ სფერაში და თუ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ძლიერი ზღუდეები ხვდებათ, ამკარაა თაოსნობა დაიკარგება და საქმის წარმოება შეუძლე-ბელი იქნება. ამისათვის ამ ორი ელემენტის სარბიელის მტკიცეთ განსაზღვრა, ერთი მეორისაგან დაშორება და



ყოველთაო შეგნება იმისი, თუ რის უფლება აქვს ერთს, და რის მეორეს—შეადგენს აუცილებელ პირობას ერის ნორმალურ განვითარებისათვის.

მესამეთ, შემოსავლის ხელმოამქირნეთ აღებას და მის კიდევ უფრო ხელმოამქირნეთ დახარჯვას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ეკონომიაში. როგორც მეოთხე წერილში აღვნიშნეთ, მთავარი მიზეზი საფრანგეთის სოფლების გაღატაკებისა მფიციდმეტე-მეთვრამეტე საუკუნოებში იყო გადასახადთა სისტემა. ხარკის აღება იქიდან, სადაც არაფერია და მიცემა იქითკენ, სადაც ისედაც ბევრია—აი რა აქცევს სასოფლო მეურნეობას. ეს კი წარმოებს ორნაირი გადასახადით: პირდაპირით, როცა ის მეურნეთა უმრავლესობას შეაქვს და არაპირდაპირით (ბაჟები), როცა ის საყოველთაო საქირო საქონელს ედება. ამისათვის, გადასახადის შემოსავლის დაკვალოთ გაწერა და ბაჟების მხოლოდ სადიდკაცო საქონელზე დადება—აი თანამედროვე გადასახადთა თანამედროვე სისტემა...

ასეთია ჩვენი მოსაზრება საზოგადო პირობების გაუმჯობესობის შესახებ, იმ პირობების, რომლებშიაც იმყოფება როგორც სასოფლო მეურნეობა, ისე დანარჩენი დარგნი წარმოებისა და რაც ასე აბრკოლებს მათ აღორძინებას და კულტურულ გზაზე დაყენებას. ამას რამდენიმეთ ეთანხმება სამართის სამეურნეო კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც მოყვანილი იყო ჩვენი ვახეთის მე-51 ნომერში. აი ეს გადაწყვეტილება: სასოფლო მეურნეობის გასავითარებლათ საქიროთა განხორციელებულ იქნას შემდეგი ზომები: 1) კოლპერატულ დაწესებულებათა შესახებ ისეთი კანონი გამოცემა, რომლის ძალით საქირო არ იქნება ნებართვას აღება, არამედ საქმარისი იქნება უბრალო გამოცხადება ეს და ეს კოლპერატული დაწესებულება დავაარსოთ; 2) ერობებში წოდებრივი პრინციპის მოსპობა; 3) წერილი საერობო გამგეობის შემოღება, რომლის ორგანიზაცია უნდა შეიმუშაოს თვით ერობამ; 4) სოფლის მამასახლისებს აეკრძალოს საერობო კრებებში მონაწილეობის მიღება; 5) მოსპობა გამაფრთხილებელი ცენზურისა და ბეჭდვითი ორგანოების დასაარსებლათ გამოცხადებითი პრინციპის შემოღება, მწერლობა პასუხის მგებელი უნდა იყოს მხოლოდ სასამართლოს წინაშე; 6) მომრიგებელი მოსამართლეების არჩევა; 7) სოფლის მუშათა და მათ დამქირავებელთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების კანონით განსაზღვრა, როგორც ეს მრეწველობაშია; 8) სოფლის მუშების დაზღვევა დასახირებისაგან და მოხუც-უძლოთათვის რუნვა; 9) მცხოვრებთათვის მუქთი იურიდიული დახმარება ერობებთან იურიდიული ბიუროების დაარსებით; 10) გლეხობის საზოგადო მოქალაქობრივ ცხოვრებაში სხვებთან გათანასწორება; 11) სოფლის ყრილობების დამოუკიდებლობა შინაურ საქმეების წარმართვაში; 12) პიროვნების და ოჯახის უფლებების დაცვა სოფლის ყრილობების უკანონო საქციელისაგან; 13) მოსპობა პასპორტების და გაროზგვის.

როგორც ვთქვით, ყველა ეს რამოდენიმეთ ეთანხმება ჩვენს მოსაზრებას; ასეთი გაუმჯობესობა მხოლოდ ნაწილია საზოგადო გაუმჯობესობის და ესენი უერთმანეთოთ ვერ განხორციელდებიან.

ამგვართ, სასოფლო სამეურნეო კითხვის ერთი მხარე, მხარე იურიდიული, საიტყენაც დღეს უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული, შეძლების დაგვართ გამოვარკვეით. დაგვრჩა მისი მეორე მხარე, მხარე ეკონომიური, რომლის გამოკვევას ახლა შევუდგები.

სასოფლო მეურნეობა, როგორც ნივთიერი წარმოება, შეიცავს ორ მხარეს: სოციალურს და ტექნიკურს. პირველი არის საგანი ეკონომიური მეცნიერების, მეორე კი—აგრონომიის. ჩვენ აქ პირველი გვინტერესებს.

რა არის მეურნეობა?

მეურნეობა არის ადამიანის მოქმედება ბუნებრივი ძალების საშუალებით საკვები მასალა მოაზოვოს. ეს ბუნებრივი იარაღია დედამიწა. მაშასადამე, მეურნეობის უმთავრესი მენტება შრომა და მიწა. მიზანია თავის რჩენად საჭიროება შრომა, შრომის იარაღია მიწა. მაგრამ შრომის იარაღია თოხი, ბარი, ცული და სხვ. და სხვ. რით განირჩევა მიწა ამათგან? იმით, რომ ყველა ეს შრომის ნაყოფია. მათ გაკეთებაზე კაცის ძალ-ღონე დახარჯულია, ოფლი დაღვრილია, ხოლო მიწა ბუნებრივი მოვლენაა, რის გაკეთებაში ადამიანს წილი არ უდევს, არავის არ ძალუძს მიწის მომატება ან მოკლება. მეორე მხრით საგანს რაიმე ღირებულება აქვს იმდენათ, რამდენათ მის გაკეთებაზე შრომა წასულია. თოხი, ცული, ბარი—ყველა რამეთ ღირს, ფასი აქვთ. გამოდის, რომ მიწას ღირებულება არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ის შრომის ნაყოფი არ არის. ნამდვილათ კი ჩვენ ვხედავთ, რომ ფასი აქვს და დიდი ფასიც. უნდა იყოს ორში ერთი: ღირებულების კანონი ტყუილია, რაც ეწინააღმდეგება საეკონომიო მეცნიერებას, ან მიწა მუქთი უნდა იყოს, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. რაშია საქმე?

მიწა, როგორც ბუნებრივი მოვლენა, რომლის გამრავლება ან შემცირება ადამიანის შრომით შეუძლებელია—აი ეს მიწა ყოველივე ღირებულებას მოკლებულია, ისე, როგორც არავითარი ღირებულება არა აქვს მიწას, ჰაერს მდინარეში წყალს ზ სხ. ამ შემთხვევაში მიწა მონოპოლიური ხასიათისაა, ის ბუნების მონოპოლიაა, მისი შემცილე არავინაა. მეორე მხრით, მიწა, როგორც ადამიანის მოქმედებით სამუშაოთ გამზადებული, როგორც დამუშავებული ნიადაგი და ნაყოფის მომცემი—აი ამ მიწას ღირებულება აქვს, ისე, როგორც ყოველივე ნაშრომს კაცისას. მაშასადამე, მიწა არაფრათ ღირს მანამდის, სანამ ის არავის სჭირია წარმოებისათვის. მას ეძლევა რაიმე ღირებულება მას შემდეგ, რაც ადამიანი საქიროთ დაინახავს მის შემუშავებას და ამ გზით თავის კვებას. ცხადია, თუ მიწას რაიმე განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეცა ისტორიაში, თუ მიწათმფლობელობა ბატონობის საძირკვლათ გადაიქცა საშუალო საუკუნოებში და დღესაც ასეთ დიდ როლს თამაშობს—ყველა ამის ერთათ ერთა მიზეზი მიწის მუშაობა ანუ მიწის მომუშავენი უნდა იყვნენ. რამდენათ მიწის შემუშავება განვითარდა და სამეურნეო შრომა განაყოფიერდა, იმდენათ მიწის ღირებულება გაიზარდა და ფასმა იმატა. მიწას მხოლოდ შრომა აძლევს ფასს. და რომ ეს ასე არის, ამას ნათლათ გვიჩვენებს შემდეგი ისტორიული ცნობები.

გარეული ადამიანები მიწას სრულიად არ საქიროებენ. ისინი თავს ირჩენენ უმთავრესათ ნადირობით, ამიტომ მათთვის გაცილებით მეტათ ღირს, მაგ. შეილდ-ისარი, ვინემ რამდენიმე ათასი ქცევა მინდორი. ღირებულება აქვს მხოლოდ იმას, რაც შრომით კეთდება, ე. ი. რის მოხმარა საქიროთ ცხოვრებისათვის. რადგანაც მიწა საქირო არ არის, ის არც რამეთ ღირს და არც ვინემ ეტანება მის შეძენას. მაგრამ აი, ხალხი თანდათან მრავლდება, ნადირობით თავის რჩენა შეუძლებელი ხდება, მოთხოვნილება იზრდება და შრომაც ნაყოფიერდება. გარეულ პირუტყვს აშინაურებენ და მისი საშუალებით მიწის შემუშავებას წყებულობენ, მაშასადამე სახანავსათესი მიწა საქირო გახდა, მარა ის იმდენია, რომ ყველას ყოფნის და არც ვინემ იჩემებს. აქ მამული სათემო ანუ საზოგადოა, გარდა ამისა, ხალხი ეჩვევა ხის სახლების შენებას და შიგ ცხოვრებას. ტყეც საქირო შეიქნა. „ყველა პრიმიტიულ საზოგადოებაში, ამბობს ლეველი, მიწა შეადგენს თემის საკუთრებას და დროგამოშვებით რიგდება ოჯახთა შორის, ასე რომ თვითყელს შეუძლია თავისი შრომით იცხოვროს, თანახმათ ბუნების კანონისა. ცხოვრების მოწყობა და-

მოკიდებული იყო პირად გამჭირიანობაზე და ენერჯიაზე; არც ერთი არ შეიძლება დარჩენილიყო უსახსროთ და თუ უთანასწორობა ფეხს მოკიდებდა. მაშინვე ქონების ხელახალი განაწილება მოხდებოდა. ასეთ პირობებში იყვენ ბერძნები ჰომერის და რომაელები რომულის დროს.

მართალია, ამ საფეხურზე საზოგადოება ბუნებას ვერ იმორჩილებს, მაგრამ სამაგიეროთ ის თავის საკუთარ წარმოებას იმორჩილებს და თავის სურვილისამებრ მიყავს. დღეს კი, პირიქით, ადამიანმა დაიმორჩილა ბუნება, სამაგიეროთ ის ტყვეთ შეიქნა თავისივე საკუთარი წარმოების. კაცი ბუნების ბრძკალებიდან გამოვიდა, მარა მის მიერ შექმნილ საწარმოვო ძალას დაემონა. პირველი ხანა—ბუნების ბატონობა ადამიანზე და ადამიანის—თავისივე წარმოებაზე—არის ხანა მიწის საზოგადო მფლობელობის, ანუ კომუნისტური, მეორე ხანა—ადამიანის ბატონობა ბუნებაზე და წარმოების—ადამიანზე—არის ხანა კერძო საკუთრების ანუ ინდივიდუალური. ხოლო დღევანდელი კაცობრიობის იდეალია დამონავება არა მარტო ბუნების, არამედ თვით საწარმოვო ძალების. და როცა ეს შესრულებულ იქნება—მესამე ხანაც ქვეყნათ დადგება... განვითარება ამ ორი უკანასკნელი წყობილების პირდაპირ დაკავშირებულია საკუთრების განვითარებასთან. აქ უმთავრეს როლს თამაშობს მიწა.

როგორც ვთქვით, კომუნისტური ხანა შეიცავდა მიწა-ადგილის საზოგადო საკუთრებას და საზოგადო შემუშავებას. ამ შემუშავებამ მიწას ფასი მისცა და წინმსვლელობას საფუძვლათ დაუდგა. მუშაობა იმდენათ განაყოფიერდა სხვადასხვა იარაღების წყალობით, რომ მუშას შეეძლო მეტი მოემუშავა, ვინემ მას ესაჭიროებოდა. ეს მეტი ნაყოფი შეიქნა პატრონის სიმდიდრეთ. ასეთმა პირმა თანდათან მეტი გავლენა მოიპოვა და გარეშე თემებთან ომში ხშირათ თავის თემს წინამძღვრობდა. მეორე მხრით, ომში დაჭერილი ტყვე მონათ გაიხადეს და თავის მაგიერ სამუშაოზე მიაყენეს. ასე ნელ-ნელა ძველ თანასწორ საზოგადოებაში აღორძინდა ორი უსწორ-მასწორო საზოგადოება ანუ კლასი: ბატონები და მონები, გამყვლეფნი და გაყვლეფილნი. პირველებმა ხელთ იგდეს მიწა-ადგილიც და მათ დაირღვა პირველი, კომუნისტური ხანა. ამ გზით გამეფდა საბერძნეთში და რომში მსხვილი მი ათმფლობელობა, რამაც დააქცია ორივე ქვეყანა\*). ცეზარის ჯარებმა (1 ს. ქრ. წ.) დაიმორჩილეს საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, წოდებული გალიათ, სადაც ადგილობრივ ხალხს ძალათ წაართვეს მიწა-ადგილები და თვითონ დაიჩემეს. სამაგიეროთ გერმანელთა შემოსევამ ევროპაში დასცა რომის იმპერია და შექნა მიწათმფლობელობის ახალი სახე. ამათ დამარცხებულ რომაელთ წაართვეს ორი წილი მიწა-ადგილი და თვითონ დაირიგეს. ეს დარიგება მოხდა თანახმათ მათი საკუთარი ჩვეულებისა: თვითელმა თემმა თავისი წილი წაიღო და ოჯახთა შორის დაანაწილა. დანარჩენი მიწები კი თემის საკუთრებათ გამოცხადდა. ამნაირათ, ოჯახის უსაჭიროესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, როგორც მაგ. სახლის დასადგამი მიწა, საბოსტნე და სახნავი,—განვითარდა კერძო საკუთრება, ხოლო თემის საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლათ,—როგორც მაგ. საბალახო, ხე-ტყე, სახნავი მიწები, რომლის ნაყოფი შიმშილობის დროისთვის ინახებოდა, სათევზე და სხ.,—განვითარდა მიწის საზოგადო საკუთრება. ამ წყობას გერმანიაში ეწოდება მარკო, რუსეთში „ობშინა“\*\*). პირველათ თემი შედგებოდა თა-

ნასწორი წევრებისაგან და საკუთრებაც თანასწორათ იყო გაყოფილი. სამხედრო წინამძღოლნი დიდათ არ განიჩეოდენ უბრალო მეომრისაგან, მამული ორივეს ერთნაირი ქონებად. ამ დროის გერმანია შეიცავდა ნახევარ მფლობელობის კუთხ ვერსტს, სადაც ხუთ მილიონამდი ხალხი ცხოვრობდა. მაშასადამე, თითო ოთხკუთხ ვერსტზე მოდიოდა ათი სული მცხოვრები. რაკი მიწა ამდენი იყო და ხალხი ცოტა,—ცხადია ყველა ადგილების დამუშავება არ შეიძლებოდა და ამიტომ ადგილს არც დიდი ფასი ქონდა. მხოლოდ ის მიწები ღირდა რამეთ, სადაც ხალხი ესახლა და, მაშასადამე, კაცის შრომა იყო დახარჯული. დროთა მსვლელობაში ხალხი გამრავლდა და მეტი მამულის დამუშავება შეიქნა საჭირო. მეორე მხრით, სამხედრო წინამძღოლნი თანდათან განცალკევდენ ხალხიდან და მოიპოვეს ძლიერი გავლენა. მამული გახდა საძირკველი ძლიერებისა, და აი ახლათ აღორძინებული სამხედრო კლასი შეუდგა მიწა-ადგილების დაჩემებას. ეს დაჩემება პირველათ მოხდა საფრანგეთში. რადგანაც აქ მცხოვრებნი ბევრი იყვენ და რომაელთა გავლენით კულტურაც მალე იღგა, ამიტომ ფრანგებმა შემოსევისთანავე (მე-IV—V საუკ.) ხალხს ჩამოართვეს მამულები და თავიანთ შორის დაიყვეს. ამით აქ ჩაიყარა საძირკველი თავად-აზნაურობის და გლეხობის. გერმანიაში კი ეგვევ პროცესი მოხდა ცოტა გვიან (მე-VIII—IX ს.) იმ განსხვავებით, რომ აქ მოწინავე წოდებამ თავისივე ხალხს წაართვა მიწები და გამოაცხადა საბატონოთ; ხალხს უნდა ეხადა გადასახადები. ბევრი თემი არ დაიმორჩილა ამ ძალას და გადასახლდა ელბის ნაპირებზე, საიდანაც გარეკეს სლავიანები და თვითონ დასახლდენ. დაიპყრეს რა ახალი ადგილები, ფიქრობდენ აქ მინც იცხოვრებდენ თავისუფლათ. მაგრამ თავად-აზნაურობამ აქაც მოაგნო ისინი და მეფის ნებართვით აღჭურვილებმა, ახალი მიწებიც თავის საკუთრებათ აღიარეს. ასე ნელ-ნელა მთელი გერმანიის ადგილები ხელში ჩაიგდო მოწინავე წოდებამ და ხალხი ყმათ გაიხადა. ასევე მოხდა ინგლისში. ეს ქვეყანა მე-XI საუკ. დაიპყრა ჩრდილო საფრანგეთის მცხოვრებლებმა—ნორმანდიელებმა, მთელი მიწა-ადგილი ადგილობრივ ხალხს წაართვეს და თავიანთ შორის დაიყვეს. აქედან წარმოდგა ინგლისის მემამულეთა კლასი...

ასეა თუ ისე, მიწას ღირებულება მიეცა მუშაობით და პირველათ ის საზოგადო კუთვნილებას შეადგენდა. ხოლო როცა შრომა გართულდა, ხალხი გამრავლდა და მამულს მეტი ფასი დაედგა, მაშინ ის ძალათ წაართვეს მიწის მუშაკთ და მიითვისა მოწინავე წოდებამ. მიწის ღირებულება შექმნა შრომამ, მისი დასაკუთრება კი ძალამ. შრომა შეიქნა მიზეზი მიწის მონოპოლიისა მემამულეთა ხელში.

რას ნიშნავს ეს მონოპოლია, რა როლს თამაშობს დღეს მამული და რა კანონს ექვემდებარება ის—დავინახავთ შემდეგ წერილში.

გ. მარმალაძე.

1902 წელი ჩვენში.

1902 წელი უკვე გადაიცვალა. ის ამიერიდან წარსულს ეკუთვნის და მისი განკითხვის ჟამიც დადგა. რა მოგიტანა მან? რა კვალი დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში? რა მიიღო თავისი მშობლიდან და რა დაუტოვა ახალ დაბადებულ მემკვიდრეს? აი რა კითხვებით მივმართავთ ხოლომე ძველ წელიწადს ახალი წლის დამდგეს და ვცდილობთ მათ გადაწყვეტას. გასულმა წელმაც, რასაკვირველია, პასუხი უნდა მოგვეცეს ამ კითხვებზე და ისტორიის სავანეში გულდამწვიდებით ჩავსვენოს, მე ჩემი ვთქვი, აწი თქვენ იცითო. მაგრამ მისი აღსარება არც

\*) პლინი ამბობდა: Latifundia perdidere Italiam—ლატიფუნდიამ დაღუპა იტალია.  
\*\*) ჩვენებურ მიწათმფლობელობის შესახებ იხ. ფ. მახარაძის წერილები. „კვალი“ 1902 წ.



იმდენ მადლოს შეიცავს, რომ ახალმა წელმა უეჭველათ ყველაფერში ნას მიბაძოს და არც იმდენ ცოდვას ატარებს, რომ ის ერთიანათ უარყოფილ იქმნას. არა, ის მრავალ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შედგება და მათი გადარჩევა-გადანიავება მემატინეს მოვალეობაა.

პირველ ყოვლისა, 1902 წ. ნამდვილი მემკვიდრეა წინა წლების და, მაშასადამე მაშინ დაწყებული მიმდინარეობა უნდა გაგრძელებულიყო ამ საანგარიშო წელსაც.

გასული წელი დაიწყო ორი საყურადღებო საქმით: საფაბრიკო ინსპექციის შემოღებით და გაძლიერებული დაცვის ახალი წესებით. პირველი შეეხება მუშათა ყოფა-მდგომარეობას და სამრეწველო დაწესებულებათა წეს-რიგებებს, ხოლო მეორე მშვიდობიანობის დაცვას. ფაბრიკის ინსპექტორი მოვალეა თვალ-ყური ადევნოს ფაბრიკა-ზავოდებში ჰიგიენური და სანიტარული მოთხოვნებიან სრულდებოდეს, მუშათა და პატრონთა შორის მშვიდობიანი განწყობილება ჩამოავდოს, სავალდებულო დადგენილებანი სამუშაო დღის შესახებ პატრონებმა არ გადალახონ და სხ. ერთი სიტყვით, საფაბრიკო ინსპექციის მიზანია შრომის პირობები გაუმჯობესდეს და მუშების დაზარალებულ მდგომარეობას ყურადღება მიექცეს. ეს დებულება ძალაში შევიდა გასული წლის პირველი იანვრიდან. — 18 იანვარს გამოიცა თფილისში განკარგულება გაძლიერებული დაცვის უკეთ მოსაწყობათ. ამისათვის დაწესდა საადრესო სტოლი და მეფხოვეთა რაზმი. გასულ წელს ყველასათვის აშკარა შეიქნა ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, კრიზისები წარმოების ყველა დარგში, განსაკუთრებით კი სასოფლო მეურნეობაში. იმერეთის ზოგ მაზრებში (გურია და სხ.) გაჭირვება სიმშვილათ გადაიქცა, რაც იშვიათ მაგალითათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში. რუსეთში კი ამგვარი მდგომარეობა რამდენიმე წელიწადია არსებობს და თითქმის არც ვისმეს უკვირს იქ სიმშვილათ. საანგარიშო წელს ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მთავრობამ საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების დაარსებით, რომელთა მიზანია სამეურნეო საქმეებთან გამოკვლევა. საგუბერნიო კომიტეტები დაარსდა ჩვენშიაც, ამავე საგანს იკვლევენ თფილისის სამეურნეო საზოგადოებაში. დღემდე გამოირკვა შემდეგი საქმეებიანი: ეროვნის შემოღება, სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება, უმიწა-წყლობით შევიწროებულთ ახალი მიწების მიცემა, ან და შავი-ზღვის პირზე გადასახლება, იაფი კრედიტის მოწყობა, კოლერატიული ამხანაგობების დაარსება და სხ. ხოლო განსაკუთრებით საქმეობით დაინახეს ხალხის თვითმოქმედების და თვითმკურნაობის გაფართოება და საზოგადო პირობების შეცვლა. ხალხის გაჭირვება გაამწვავა სამრეწველო კრიზისებმაც. ამ მხრით შესანიშნავია შავი-ქვის კრიზისი. გასულ წელს 18 ჯგუფმა დაარსა შავი ქვის სინდიკატი გერმანელი კაპიტალისტის მეთაურობით, მაგრამ კრიზისი ვერც ამან შეასუსტა, მადანის საზღვარ-გარეთ გატანამ იკლო და ფასებიც დაეცა. ამავე დროს მრავალდება რკინის გზები და მძლავრდება მიმოსვლა. საანგარიშო წელს ოფიციალურათ გაიხსნა ერენის რკინის გზის შტო, დაიწყეს გამოკვლევა რკინის გზის გასაყვანათ სპარსეთის საზღვრამდე ნახიჩევანით, შემუშავდა პროექტები შავი ზღვის პირის რკინის გზისა და სხ. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, ის გადასჭრის სამეგრელოს, აფხაზეთს და მივა ნოვოროსიამდის. ქალაქი ქუთაისი მეცადინეობს ეს გზა ქუთაისზე გავიდეს და ისე შეუერთდეს ამიერ-კავკასიის მთავარ ლიანდაგს — თუ ეს განხორციელებულ იქნა ქუთაისი ძრიელ წაიწვეს ადგილ-მიცემობის გზაზე და იქნება მაშინ რამე თანამედროვე ელფერი დაედვას ამ პატრიარქალურ ქალაქს. ჩვენს ქალაქებში გასულმა წელმა ყვე-

ლაზე მეტი ზარალი ბათუმს მოუტანა. საპორტო გადასახადების ხარჯვის უფლება ხაზინამ ჩამოართვა ბათუმს და თვითონ მიითვისა. ასე რომ ქალაქი იძულებული ხდება წინასწარ წელს დაწყებული გაშრობა ქაობებისა სამეურნეო-საქონლისა და მით ქალაქის კეთილდღეობა განსაცდელში ჩააგდოს. მთავრობა არ ანებებს საპორტო გადასახადს ამ საქმისათვის, ხოლო სხვა ფული კი არ აქვთ. ასე რომ თუ ბათუმმა რამე ნაირათ ისევ არ დაიბრუნა ძველი უფლება, მისი განვითარება ძრიელ შეფერხდება. როგორც სჩანს ბათუმის ამომრჩეველები ამ გარემოებას იმდენ ყურადღებას არ აქცევენ, რამდენსაც კენჭობისა. საანგარიშო წელს საბჭოს არჩევნები მოხდა თბილისში, ბათუმში, ფოთში და სხვ. თფილისის არჩევანმა ჩაიარა მეკენჭეთა სრულ გულ-გრილობაში, ძალათ თუ მიიყვანდნენ მოქალაქეთ კენჭის ყუთამდე, თვარა თავის ნებით არავინ მიდიოდა. და ეს არა მარტო ქართველნი, არამედ, რაც უფრო გასაკვირველია, სომხები, რუსები და სხვ. ეს ასე ვთქვათ „გამომხევალი“ არჩევნები იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ ახირებულმა არჩევანმა საბჭოში გააძლიერა მემარცხენე, ლიბერალური, პარტია. გამარჯვება ხედა სომხთა ვერცთ წოდებულ „ახალგაზდათა დასს“, ე. ი. იმ პარტიას, რომელიც შეიცავს მოლიბერალო უკიდურეს ნაციონალისტთ. ლიბერალობით თავი გამოაქვს უცხო ტომთა წინაშე და ესენიც მათ ამ მხრით იცნობენ, ხოლო თავისი ნაციონალიზმით სახელგანთქმულია თავის ტომის ინტელიგენციაში და აქედან იკრებენ მთავარ ძალას. აი ამ პარტიის მეთაურია არგუთინსკი-დოლოგორუკოვი, რომელიც არჩეულ იქნა ქალაქის თავათ. ასე რომ თუ წინეთ თფილისი ბურჟუაზიის მემარჯვენეთა ხელში იყო, ამიერიდან ის გადადის იმავე ბურჟუაზიის მემარცხენეთა ხელში, წინანდელი ოპოზიცია გადაიქცა გამგეობის მომხრეთ, ხოლო გამგეობის წინანდელი მომხრენი ოპოზიციათ. თფილისის დაბალი ხალხი, რასაკვირველია, არც ერთისაგან არ უნდა გამოელოდეს თავის ინტერესების დაცვას. ქართველი ახალ არჩეული ხმისნები, როგორც სჩანს, ორათ გაიყო, უმრავლესობა ემხრობა არგუთინსკის რაზმს, უმცირესობა სოცდაგართა პარტიას. ამ ნაირათ, ქართველნი მართალია შევიდნენ საბჭოში, მარა ვაი ამ შევლას. თუ ამ გზით იარეს ბოლომდის, ბოლოს უნდა მოვახსენოთ შემდეგი: სჯობდა სიცოცხლეს ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი! — ფოთში აბა რა არჩევნებია, აქ ბ. ნიკოლაძე უბრძანებს ფოთელთ, აი ესენი გაათეთრეთო და ამომრჩეველებიც ცხრის ფარასავით მიდიან ყუთებთან ბრძანების ასასრულებლათ. აქ ქალაქი, საბჭო და საზოგადოთ მთელი ფოთი ბ. ნიკოლაძეში მდგომარეობს. არჩევნები, სხდომები და სხვა ამისთანაები უბრალო ფორმაა, კანონის ასრულებაა, მეტი არაფერი. — სამაგიეროთ დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაურობა ბათუმმა ასტახა. აქ შედგა სამი პარტია: ქართველებს, რუსების და სომხების. ორი უკანასკნელი შეერთდნენ, ხოლო პირველი კი დაიყო და ასე ატყდა კენჭების ჩხარა-ჩხური. დაყოფილნი დამარცხდნენ რასაკვირველია, პირველათ, მარა მეორეთ ეს დამარცხება შეერთებით გამოაკეთეს. ასე რომ ბათუმის საბჭოში ქართველობა 1-2 ხმით იქნება უმრავლესობა. უნდა ითქვას, რომ ამიერ კავკასიის საბჭოთა შორის, ისევ ბათუმის საბჭო იჩენს მეტ მხნეობას და საქმიანობას, თუმცა მასაც აკლია ის, რაც არც ერთს არ მოეზოვება — სახალხო მოღვაწეობა. ასეთი მოღვაწეობისთვის ჯერ კიდევ ვერ მომწიფებულან ჩვენი ქალაქთა „მამები“.

საზოგადოთ, ცხოვრება გართულდა და ზრავალფეროვანი შეიქმნა. ამას, რასაკვირველია, თან მოსდევს აზროვნების და მწერლობის გამოკოცხლება. საანგარიშო წელს ამ მხრით საყურადღებოა „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“

ცვლილებანი. პირველი, როგორც თვითონ აცხადებს ხოლმე, „განახლდა“, რაც გამოიხატება ძველი რედაქტორის დათხოვნით და ახლის დაყენებით, ფორმატის გადიდებით და ამხანაგობის დაარსებით. გაზეთი გარეგნობით მართლაც განახლებულია, გამოცოცხლებულია, საკითხაჲი მასალა შიგ ბევრია—ერთი სიტყვით წინანდელი საღათას ძილიდან გამოსულია. რაც შეეხება მიმართულებას, ის წინანდელზე კიდევ უფრო გადაიწია მარჯვენა მხარისაკენ, ასე რომ ის ამ ჟამათ თავადაზნაურობის კონსერვატიული ნაწილის ორგანოთ უნდა ჩაითვალოს. „ცნობის ფუცვლიც“ შეირყა, წინა წელს გამოცხადებული პრინციპები უარყო და ახალი გზის ძებნას შეუდგა, მისი თანაგრძნობა გადაიწია უფრო დაბალი ხალხისაკენ, ის თავის თავს უწოდებს „ნაციონალ-დემოკრატს“, თუმცა დღემდის ვერ დაამტკიცა საქმით ვერც ნაციონალიზტობა და ვერც დემოკრატობა. საზოგადოთ, ამ გაზეთის ჯგუფს აკლია გამბედაობა ამიტომ მისი მოღვაწეობა ცარიელი საგაზეთო ლაბარაკი გამოდის. ამ გაზეთს ემჩნევა თანამშრომელთა ნაკლებობა და შინაარსის შემცირება. მწერალთა შორის ცვლილება არ მომხდარა. მომატებით არავინ მოგვსატხოლო გამოკლებით კი გამოგვაკლდა. გარდაიცვალა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი ავ. ცაგარელი, აღსანიშნავია აგრეთვე ვ. აბაშიძის საიუბილეო დღესასწაული, რითაც ღირსეულათ დაჯილდოვებულ იქნა ეს ჩვენი უნიჭიერესი არტისტი.

ასეთი იყო ჩვენთვის 1902 წელი.

**სსვზ-და-სსვზ ამბები.**

ორ იანვარს თფილისის გუბერნატორმა მიწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, პირველ სხდომასხედვე მოახსენეთ საბჭოს, რომ სახელოსნო სკოლის გამგე კომიტეტი მოსპობილია და ამ საქმის შესახებ საბჭოს დადგენილება დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთ.

ამავე დღეს ავლაბარში აკურთხეს ქალაქის მეოთხე დუქანი ხორცით ვაჭრობისა. დუქანი მოათავსეს მეტეხის ქუჩაზე, გულასპოვის სახლში.

26 დეკემბერს კავკავში ადგილობრივ ქართული სკოლის დარბაზში ამავე სკოლის სასარგებლოთ საღამო გაუმართავთ. მთელი შემოსავალი ყოფილა 1,400 მანეთი, წმინდა შემოსავალი, როგორც ფიქრობენ 1,200 მანეთამდე დარჩება.

ქართული საღამო ბათომში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ გაიმართება ნინოობა დღეს, 14 იანვარს, საღამოს მართავს და დიასახლისად იქნება ბათომის ქალაქის მოურავის მეუღლე, კნენა ლ. ნ. ანდრონიკაშვილისა.

1 იანვარს, იარმუკაზედ სომეხთ სასულიერო სემინარიის სახლში ცეცხლმა გაანადგურა 19 დუქანი; ცეცხლი პირველად გაჩნდა მნაცკანოვის სამღებრო მასალის დუქანში; ოთხის საათის ბრძოლის განმავლობაში ცეცხლის მქრობმა რაზმმა მოსპო ცეცხლი, სემინარიის ზარალი 30—32 ათას მანეთამდეა. შენობა დაზღვეულია.

ჩვენ მივიღეთ ბ. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი: „ასპინძის ომი, — ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან. მესამე შევსებული გამოცემა მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით და ახალ-ციხის მხრის ქარტით“ წიგნაკი სუფთათ არის გამოცემული, კარგ ქალაღღზე დაბეჭდილი და ღირს 7 კაპეიკათ.

პატივცემულის ავტორის სახელი და თვით წიგნაკის შინაარსი თავმდებია წიგნაკის ღირსებისა.

**წიგნაკი**

ჩვენმა რედაქციამ მიიღო პირველი წიგნაკი „ქვეყნისა“ შემდგვის შინაარსით: 1) ახალ წლის საჩუქარი (სურათით); 2) ახალი წელი, ლექსი შ. მღვიმელისა; 3) შობის ხის ამბავი (ფრანგულიდან) კლდიასი; 4) ბუ და მიმინო, თორნიკესი; 5) ქრელი ცხვრები (იგავი) აკაკისა; 6) პატარა მსახიობი (საშობაო მოთხრობა) ფრანგულიდან ბიძიასი; 7) ლექსი შ. მღვიმელისა; 8) ცხვარი და მწყემსი (იგავი) ალ. მირიანაშვილისა; 9) ათინორ მეკვლე (საახალწლო ამბავი) ა. ყუმისთაველისა; 10) როგორ მიმდინარეობს ქვეყნად ცხოვრება—კოტე ელიოზიშვილისა; 11) აშული მიმინო, მოხრობა თ. რაზიკაშვილისა; 12) ამბავი ძმობილებისა, ბაჩანასი; 13) თეკლეს ახალი წელიწადი ეკ. გაბაშვილისა; 14) თამარ მეფე. დ. კარიჭაშვილისა და წვრილმანი.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი,—ლექსად: «დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. თხზულება გიგო ხეჩუაშვილისა და გამოცემული ვალუსტა შიხიაშვილისაგან. წიგნში ჩართული აქვს გიორგი სააკაძისა და ავტორის სურათები, შეიცავს 236 გვერდს, დაბეჭდილია მდარე ქალაღღზე და ღირს ოთხი აბაზი. ავტორი პოემის გაგრძელებას კიდევ გეპიოდება.

ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ვაზეთ «Курьер»-ის გამოცემა შეჩერებულ იქნა სამის თვით.

**კორესპონდენციები.**

**მ. ფოთი.** მგონა, გეტემ თქვა: „რა სსჭირთა მოკარის-კენ ზოტანი, რცა დედაძიწაზეც ასე ბღამთასა სსქმეუბითა“. ეს უბრალო და მარტივი ჭეშმარიტება რომ შეეგნოთ ფოთის ქალაქის „მამებს“, მამინ, ვინ იღის, შეიძლება ჩვენკენაც გადმოკეცდეთ და ჩვენისთანა უბრალო მამაკეცელებისთვისაც მიექცათ თავიანთა მოწყალე თვალები, შეიძლება რამდენიმეთ მაინც წავეითხათ აქაურ მკვიდრთა გულის სიდრმეში მიმდღული სუვედური, სუვედური, რომელიც როგორც უოველივე სსვა აქ. შემონახული, ნიდაზ აუნთელა. ფოთელს ძღლიან უუკარს ღუმელი, იმან მშკენიერათ იღის, თუ რა ფასი აქვს ეხღანდეღ დროში სიხუმეს,—„ПОМАЛЧИВАТЬ ДА КЛАНЯТЬСЯ“—აი მისი დევიზი და კიდევ ამიტომ არის, რომ ფოთისთანა უნდა, მუნჯი ქალაქი მთელ დედაძიწაზე შეარე არ მოიხოვება. ფოთელი იფლება კისრამდე ტღაზხში და... შიანქაზის სახლში, რომ გაშრეს, ან ტანზე გამოიღვალოს, დაქნება დამათ რომელიმე ფანრის ბაძს, გაიტყეს ცხვირს და... ჯიბისაკენ მიაქვს ხელი ცხვირსახრცის ამცხადებათ, რომ შიიფაროს სახეზე, ფოთელს უნდა გაზეთის წაკითხვა, ვინაიდან ხანდახან ღუარსახრცე კი უუკარდა ზოღიტაკაზე ღამარაკი, შიდის გაზეთისთვის სსკითხღღში და რა ის დაკეტილი ხღდება,—ვინმე ნაცნობს ეხვეწება—აქნება გაზეთი მოგდის, შენი ჭირიმი მათხვეუა. ის მოკლებულია უოველივე იმას, რაც ცღტათ თუ ბეგრათ გულტურულ ქალაქში უკვე აუცილებელ სსჭირებათ გადაქცეულა, მისი სუღიერი სახრდღ მინიმუმამდე დაუუკანიათ, კიდევ ერთი ნაბიჯი და ფოთელი ღუარსახრცის მთქნარებით გადასკამს შუღღზე ხელს და წამოკოტრიაღდება მამა-მამურ ტანტზე. ნანინას მთქმელი მას ხომ მშკენიერი ყავს—ქალაქის მამება. სსკული თღღემით შეზურბიღ დაღმანს გატყების კანცერტიც ისნანიური სურებადა გონია და აბა რა გასაკვირღღელია რომ ფოთის ქალაქის დაბზაში აწკრიაღებული ზარის ხმა ფოთელებს ვაგნერის მუსიკათ მოკუურდოს... ამ ზარის წკრიაღს ისეთი მამჯღაღებელი ვაგუნა აქვს ფოთელზე, რომ უოველივე კერძო ინიციატივა, უოველივე დამოუ-

კიდებული საქმე აქ არსივისკენ გაუგზავნით და თვითონ გულ-  
ხელ დაკრედილნი შეუერთებენ ციურ მანანს. აქ არ არსებობს სს-  
ხალხი სამკითხველო, არ ამართება სსხალხი წარმოდგენები, არ  
არ არსებობს საკვირაო სკოლა, არც სსხალხი კითხვები, არც  
ერთი საქველმოქმედო დაწესებულება. ავით იყო თუ კარგათ  
ამ რამდენიმე თვის წინათ აქაური სამკითხველო ათრეველა გამდლე-  
ბულ სინცრცლეს და თუ ბ-ნი ბიბლიოთეკარი თორმეტ სათამდე  
არ გააღებდა მას, თორმეტზე ხომ მაინც შეგვეძლო შიგ შესვლა.  
ახლა კი ისიც დაგვიკეტეს და მომავალ სამკითხველს კი, რომც  
გასწანს ის, ვინ იცის რა ბედი მოეწიოს: საბჭოს უკანასკნელ  
სხდომასზე ოთხსაი მანეთი შემწეობა ორასამდე შემცირეს. ამდენ-  
მა ქალაქმა ორასი მანეთის მეტი ვერ გამოიმეტა სამკითხველს-  
თვის!.. შთავრეს კი გზობინებთან...

თუ ფოთს საზოგადოთ უმცირესობა და ერთ ალაგას დგომა  
ახსიანობებს, ამას ვერ ვიტყვით ჩვენ ვერძოთ აქაურ ნოქრებს. აკრ  
მეორე წელი იქნება; რაც იმათ ერთი საერთო ნადაგი გამონახეს  
და საქმეს მოკიდეს ხელი. ეს საქმე გახლავს კვირა უქმეებზე და-  
სვენება. შარშან თებერვალში საბჭოს მიერთვია აქაურ ნოქრების  
თხოვნა, რომ საბჭოს გაერჩია მათი სსხივარი. საუბედუროთ, ეს  
თხოვნა თურმე თავკებმა მოიტაცეს და ამიტომ მისი გზა-კვლი  
დღესაც არ იცან. მაშინ ნოქრებმა აიღეს და ამავე შინაარსის  
თხოვნით მიმართეს ბ-ნ გუბერნატორს, რომელმაც ეს თხოვნა სს-  
ბჭოსვე დაუბრუნა. ამისაც იგივე ბედი სვთა. შესამე თხოვნა კავკა-  
სიის მთავარ-მართებულს მიერთვია და აი იქიდან დაბრუნებული  
თხოვნის გადაფურჩენება კი აღარ მოსერხთა და ნოქრების თხოვნა  
გაიჩნა. საქმე ნოქრების სსხარკებლოთ გადაწედა, მაგრამ ამას წინ-  
თ, რამდენიმე ხმოსანმა განცხადება შეიტანა საბჭოში. რომ ეს გადაწევა-  
ტილება არ იყო კანონიერი და მოათხოვეს საქმის ხელახლა გარჩევა.  
ეს განცხადება 4 დეკემბერს წარუდგინეს კრებას და ხელახლა გაარ-  
ჩიეს საქმე. აქამდე სინუდით განთქმული ფოთის ქალაქის საბჭო,  
იმ დამეს დემოსტრების ტრიბუნათ გადაიქცა და გაცხარებული  
ორატორების „რეჩებს“ ორპირი რეზონანსით იმეორებდენ საბ-  
ჭოს შენობის ფართე ოთახებში: „რას ქვია თავისუფლება, ვინ  
მოიგონა, თავისუფლება გავიყვანის ნოქრებს, მაგას როგორ  
ვიქმთ, ჩვენი სელით, როგორ დაველაკოთ ჩვენ ნოქრებს—შვი-  
ლივით გავგზინდით“. ვინ თქვა, რომ ჩვენ ვაჭრებს მარტო  
ოღენ მურღლის ინტერესები ამოქმედებენ, ვერ უყურებთ, როგორ  
იცავენ თავის ხელქვეითთა ზნეობას? მამ ბე. უკანა, თოფურაძე,  
რუსაძე და ლოფუა ტეველა უვიროდენ იმ დამეს ნოქრების ზნეო-  
ბის დასაცვლათ? მეც, თქვენი ცოდვილი მექრონიკე, მეც თურმე  
გვტუბოდი ჩვენ ვაჭრების შესახებ და აი ოთხ დეკემბერს ბ. უკ-  
ნიამ დამიმტკიცა წინააღმდეგი, თვალები ამიხილა, რისთვისაც ქე-  
ბა და დიდება მას!.. ახლა იკითხვით თუ რით დაბოლოვდა ეს  
საქმე? უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ გადაწევეტილის თქმა არ  
შეიძლება, მიუხედავთ მხურვალე კამათისა, იმ დამეს მაინც ვერ  
გაათავეს საქმე და გადასცეს კომისიას ნოქრები და მათი აშკეუ-  
ნები, ვერ არც ერთი არ იტყუნ გულს და ვინაოთ „რა გამოვა  
რისგან“, რასაც, იმედია, ვაცნობებ შეითხველს...

ლო.

**ს. შვარცილი** (თელავის მასრა). აქაურ სამინისტრო სკო-  
ლაში, რომელშიაც მხოლოდ რუსულს ასწავლიან, წარსული წლის  
მასიდან სწავლა შეწყვეტილია, რადგან მასწავლებელი არა გვევს.  
ჯამაკის ჩვეულებისამებრ ასდევინებენ გლეხებს. რით ახსენება ეს  
არ ვიცით. მასწავლებელი ქალიც (რუსია) მხოლოდ ეხლახან გვეწ-  
ვია. არ ვიცით მოკვივა მეორე მასწავლებელიც თუ ასე უწესოთ  
იმდინარებს საქმე 1903 წელშიაც.

კ. ალაზნისპირელი.

**მოსკოვი.** ეს მერვე წელიწადია, რაც რუსეთის ფარმაცევტებმა  
დაარსეს საპენსიო კასა. დღიდან დაარსებისა ყოველ წელს ამა-

თუბოდა წლიური კრებები ანგარიშის განსხილვით და ყოველთ-  
ვის ისეთი ნდობის თვალთ უყურებდა კრება გამგეობას, რომ  
თითქმის კამათის გამოუწვევლათ ამტკიცებდა ყოველივე ანგარიშის  
გამგეობისგან წარმოდგენილს: გამგეობასაც ერთად და ბიბლიოთეკა-  
ბი შეადგენდა თითქმის ყოველ წელს, მაგრამ შარშან, 1902 წ.,  
ეს საერთო ნდობა დაკარგა კასის გამგეობამ. ამ წლის კასის წევ-  
რთა საერთო კრებაზე გამგეობამ წარმოდგინა დამამტკიცებელი  
საბუთები კასის ცუდი მდგომარეობის, რის გამოსწორებლათ გამ-  
გეობა სოფლიდა ერთთ ერთ საშუალებას: კასის ხაზინაზე გადა-  
ცემას

ასე მოულოდნელათ წამოყენებულმა საკითხმა ძლიერ გააცვიფ-  
რა დამწერე ფარმაცევტები და უმეტესობამ მოითხოვა ეს საკითხი  
გადაედეთ. წარსული წლის 30 ნოემბერს მოხდა კასის წევრთა  
წლიური კრება, რასაც დაესწრო ორასზე მეტი წევრი. თავმჯდო-  
მარეობდა ზროფესორო ვ. ა. ტინომიროვი. კრებაზე დასწრება ბი-  
ლეუბით იყო, რამდენიმე წევრებს ფულის თავის დროზე შეუ-  
ტანდობის გამო კრებაზე დასწრების ნება არ მისცეს და არც ფუ-  
ლი მიიღო მათგან გამგეობამ ვადის კადაცილების გამო. ამთ  
რიცხვში მოუვენ კასის საქმეების კარგათ მტოდნენი ობოზიციის  
შეთაურებიც. გამგეობისგან წარმოდგენილ წარსულ 1902 წლის  
ხარჯთ-აღრიცხვაში გამგეობას ის აზრი გაეყვდა, რომ რადგან ამ  
უკანასკნელ ხანებში წევრთა რიცხვმა იმატა, რადგან კრების სურ-  
ვილის გამო ანგარიშები და წესდებები უნდა ვებტვლოთ ყოველს  
წელს და საზოგადოთ შემოსავლის გადადებას თან ხარჯვებამც იმა-  
ტა, ამიტომ კასის წესდების 24 მუსლის ძალით შემოსავლის  
50% ხარჯის დასაფარავათ აღარ უფიხის და უნდა აღძროთ შუამდ-  
გომლობა მართებლობის წინაშე 100%-ათ შეიცვალოს. აგრეთვე იმ  
ფარმაცევტთა წინააღმდეგ სსხივლეათ, რომელთაც არ ისურვეს  
უმაღლესი ბრძანების შემდეგაც ჩვენი კასის წევრათ უფიხა, გადა-  
დებულ იქნას 10.000 მანეთი.

კრებამ მცირე კამათის შემდგომ დამტკიცა ეს ანგარიში და  
გადავიდა არჩევნებზე. აქკი ობოზიციამ თათქმის განმარჯვა: გაი-  
უვანა თავისი წამოყენებული ხუთი პირი მოსამსახურე ფარმაცევ-  
ტები, ორი ზროფიზორო და სამი თანაშემწე. ამგვარათ აფთექ-  
რებისთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა. როგორ შეთანხმდებიან  
აფთექრები და მოსამსახურე ფარმაცევტები გამგეობაში ამას კასის  
წლიური კრება კვიჩენებს.

ა. ბ. ნემსაძე.

**კახეთი.** კახეთი წარსულ წელს ნეტარებით არ იხსენიებს  
და არც იყო იგი სსხარტრელი. დღინო, ეს უმთავრესი წყარო კა-  
სეთის ცხორებისა ხაკლები მოვიდა. თუმცა სეტყვა წელს არ  
გწმევიდა, მაგრამ ზირველადვე გაზაფხულის უინვემ სავრძობლად  
დააზარალა ვაზი. ახლად გამოტანილმა კვირტმა სიდივე ვერ აი-  
ტანა, მოიფურუვა და მოსცვივდა რქას. მერე გაჩნდა ხაცარი და  
ობი. მართლდა ვინც მედგრად შეებრძოლას ამ სენს მამინის წამ-  
ლობით და გოგირდის უხვად შეებრკით ვერ დასძალა სენმა და  
სადი ხაყოფი გამოაღებინა, მაგრამ რომელთაც კი შეწავლას ხელი  
დააკლეს, მოსკვადიც ვერ მოუვიდათ ამას ზედ დაერთო შემოდგო-  
მის ხანგრძლივი ავდარი, რის გამოც ყურძენა ვეღარ დაშეიფდა,  
მარცხადს წყალი ჩაუდგა, დასკდა და დაღმა.

პურის მოსავალი უფრო დვინოზე უმჯობესი იყო ნამეტნავად  
ანუფლისა. სიმინდი კი კავლებისა გამო საშუალოზე ხაკ-ები მო-  
ვიდა.

იქნება პურის მხრივ უზრუნველყოფილიყო წელს კახელი  
გლეხი კაცი რომ, რაც მოუვიდა საკესით შეეტანა შინ. თითქმის  
ხსენებარ სსსოფლო გადასხნადს პურით იხდის. ასე, რომ მოსკვლის  
ხსენებარი ძლივდა რჩება თავისთვის. ექვ გარემოვა, წლის სარჩო  
ვერ შეჭევიდა და ზამთარში თუ არა, გაზაფხულზე უმრავლესობას

შემოკლებულმა ოკუპაციის საკვები ზურგმა. საქონლის ჯარი ხომ ჩრჩილივით შეუჩნდა კახეთს და თავს აღარ ახებებს.

აი ამისათვის კახეთი კრულავით იხსენიებს გასულ წელს და იმედებით შექუჩურებს მომავალ 1903 წელს, რომელიმაც მოკლის პატარა წელში გასწორებას.

შვიით-კახელი.

1902 წელი უცხოეთში\*).

საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის მოქმედება არაფრათ ჩავარდება იმასთან, რაც ჩაიდინა ინგლისის მთავრობამ ერთი მუჟა მილიონერთა ჯიბის გასასქვლებლათ.

„კაპის ნაპოლეონმა“, სესილ როდსმა, და მისმა მეგობრებმა მოისურვეს ხელში ჩაეგდოთ უმდიდრესი აღმასის მადნები სამხრეთ-აფრიკაში და მათი სურვილების აღსასრულებლათ მთავრობამ არ დაიშურა ჯარი და ფული და დაუმორჩილა საქსპლოატაციოთ სამხრეთ-აფრიკა. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ბურები დამარცხდნენ. და ამნაირათ მეოცე საუკუნის დასაწყისი მოწამე შეიქნა მხეცურა ძალმომრეობისა, ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა, თავისუფლების, დამოუკიდებლობის—ფეხქვეშ გათელვისა: ასეთ საზიზღარ საქციელს გულგრილათ უყურებდა ქვეყანა, არავინ არ აღიმაღლა ხმა ჩაგრულთა დასაცველათ. მაგრამ არა, მე ვცდები: გაისმოდა პროტესტის ხმა ასეთ ძალმომრეობისა, ადამიანის წმიდა უფლებების შელახვის წინააღმდეგ, მაგრამ ძალა მათ ხელში არ იყო, ვინც სამართლიანობას იცავდა, ასე თუ ისე ძალმომრეობა მოხდა, უსამართლობა გაბატონდა. ჩვენი მოხუცი „ივერია“ კი აღტაცებაში მოდის ინგლისის ასეთი საქციელისაგან და თავის ფურცლებზე გვაუწყებს:

„გასულ წელს სიამაყითა და თავმომწონეობით მოიგონებს ინგლისელი მოქალაქე, ეინაიდან ძლიერ-მოსილმა ბრიტანიამ თავისდა სსსხელად დაამთავრა სამხრეთ-აფრიკის ბარაკო ომი და ორი უმდიდრესი ახალშენი შემოუერთა თავის ისედაც უფერცელესსა და უუმდიდრეს სამფოობელოს. მართალია, იაფათ არ დაუჯდა ეს საქმე ინგლისს,—ორ წელიწად ნახევარი იბრძოლა, ორ მილიარდზედ მეტი ფული დახარჯა და 50,000 მხედარი შესწირა, მაგრამ მით მეტი დიდება და პატივი მის ძაღვრებს, რომ წარბ-შეუხრელათ გაიტანა ლელო“ (კურსივი ჩვენია).

ან იქნება ინგლისელ კაპიტალისტებს სურთ გააუმჯობესონ ადგილობრივ მცხოვრებთა შრომის პირობები? სრულიადაც არა. წინააღმდეგ ისინი უფრო სასტიკათ და შეუბრალებლათ ეპყროპიან ადგილობრივ მუშებს. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ: ინგლისელ კაპიტალისტთა მადნებში მუშაობენ უმთავრესათ ნეგრები, რომელთა რიცხვი 10,000-ამდის უწევს, და ამოდენა ხალხი დამწყვდეულია, ეგრეთ წოდებულ „Compounds-ში, რომელსაც მალალი ღობე აქვს შამოვლებული, და იქიდან მათი გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აგრეთვე გარეშე პირებს, ასე წარმოიდგინეთ არც დედას, არც ცოლს, არც დას უფლება არა აქვს ამ ფარგალს შეიგნოს შევიდეს“, რომ ინახულოს თავისი შვილი, მეუღლე, ძმა. ამ მადნებში სამუშაოთ მხოლოდ განსაზღვრული ვადით იღებენ და ეს ვადა ჩვეულებრივით, 3—6 წელიწადს უდრის“ ასე რომ ამ დროს განმავლობაში ისინი იძულებულნი არიან განუმორებლათ იცხოვრონ ისეთ საპყრობილეში, და მოკლებული არიან თავის ოჯახში ცოლშვილთან სიამოვნებას.

და განა ამაში მდგომარეობს უმადლესი კულტურა, ესაა ის უდიდესი ბედნიერება, რომელსაც სხვერპლათ უნდა შეე-

\* იხ. „კვალი“ № 1.

წიროს ათასი და ათი ათასი კაცის სიცოცხლე, მთელი ერის დამოუკიდებლობა?

ვინც თავისუფლებას იცავს, ვინც კულტურის განვითარებას უზრუნველყოფს ინტერესებს ემსახურება, რუსეთსა და საქართველოს ომით, ძალმომრეობით მოუსპოს ერს დამოუკიდებლობა, ის არ იბრძვის გამდიდრებისათვის.

ეს ცხადია. მაგრამ ინგლისის მტაცებლობითი პოლიტიკის მომხრეთა და თავყანისმცემელთ არაფერი საერთო არა აქვთ თავისუფლებისა და განათლების თავყანისმცემლებთან.

წარსული წლის დასასრულში იმავე ინგლისმა გერმანიასთან ერთათ ახალი გმირობა ჩაიდინა. ისინი ამხედრდნენ სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის ვენეცუელას წინააღმდეგ. აქაც იგივე მტაცებლობის პოლიტიკას ვხედავთ. სხვა გვარი არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიული პოლიტიკა. მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები არ გამოექიმადენ ვენეცუელას, არ დაიკვეს ამერიკის ხელ-შეუხებლობა. მათ დაავიწყდათ თავისი შესანიშნავი პრინციპი: ამერიკა ამერიკელებს ეკუთვნისო.

მარა აზრთა ასეთი ცვალებადობა ამერიკელ ბურჟუაზიათა შორის ადვილათ ასახსნელია. შეერთებული შტატების ბურჟუაზია იმდენათ გაიზარდა, რომ ამერიკის ტერიტორია მისთვის დღეს ძალიან ვიწრო ფარგალს შეადგენს; მისთვის საჭიროა, რომ მთელმა მსოფლიო ბაზარმა გაუღოს კარი მის ნაწარმოებს, და ამოტომ მან ფაქტიურათ მალე უარყო თავისი პრინციპი—ამერიკა ამერიკელებისთვის—და სკვალა ის უფრო ფართო და თანამედროვე პირობებში უფრო ლოკული პრინციპით: მთელი ქვეყანა ბურჟუაზიისათვისო.

ბურჟუაზია დღეს სწორეთ ამ პრინციპს ადგია. ინგლისის მტაცებლობის პოლიტიკას მხარს უჭერს გერმანია, ორივეს—შერთებული შტატები და სხვ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის ინტერესები ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, ხდება ის, რაც მოხდა ამას წინეთა ჩინეთში: ამ სახელმწიფოებმა ჩინეთის ხარჯზე დააკაყოფილეს ერთი მეორემ.

დ კოლხიდელი.

(დასასრული იქნება)

რუსეთის ცხოვრება.

შუამშვედლომდე მისხსენება ფინანსთა მინისტრის 1903 წლისათვის. სასკლმწიფო შემოსავალი: ჩვეულებრივი 1.897.032.678 კახსკუთრებითი 2 1/2 მილიონი, სულ 1.899.532.678, სასკლმწიფო საზინაში არის 172.134.794, სულ 2.071.667.472. სასკლმწიფო ხარჯები: ჩვეულებრივი 1.880.405.229, არჩვეულებრივი 191.262.243, სულ 2.071.667.472. შემოსავალი აღმატებას ხარჯებს 1,6 მილიონით. 1092 წელთან შედარებით შემოსავალი 96,2 მილიონით. წლეკანდელი შემოსავლის მეტი ნაანგარიშეა ხაზინის მიერ სასკლმწიფო კაპიტალიდან—36,9 მილიონზე მეტი, სასკლმწიფო რეინის გზებიდან 16,7 მილიონი, სატამოყნო შემოსავლიდან 10,5 მილიონი, შაქრისა—9 მილიონი; გამოსასყიდი გადასახადები წინა წელზე მეტია ნაანგარიშეა 2,7 მილიონი, ფოტო ტელეგრაფისა 2,2, მილიონი, საკთისა—2 მილიონი, თანხაქლისი—1,9 მილ., ღერბისა, სასამართლოებისა და საკანცელარიო გადასახადები—4,2 მილ. და სხვა. სამხედრო შემოსავალიც 7,7 მილიონით მეტია ნაანგარიშეა ჩინეთის მთავრობისაგან მისაღება.

ტექების შემოსავალი 1,4 მილიონი, საითა შემოსავლისა და სხა. ჩვეულებრივი ხარჯები 1902 წელს აღმატებატება 104,5 მილიონით; ამ ანგარიშში 22,9 მილიონი გზათა სამინისტრის ეკუთვნის, 10 მილიონამდე ფინანსთა სამინისტრის კერძო რეი-

ნის გზათა საზოგადოებების დასახმარებლად, 1 მილიონამდე — თავდაზნაურთა ურთიერთ შერის დაშმარაჲ კასის დასახმარებლად, 2 მილიონი — საგლეხო საადგილ-მამულე ბანკებს, 1 მილიონი გემების საზოგადოებათა; სამხედრო სამინისტროს 7,3 მილიონით მეტი მიეცა, ზღვათა სამინისტროს — 17,3 მილ., შინაგან საქმეთა სამინისტროს — 6,5 მილიონით მეტი; მიწათ-მომქმედების სამინისტროს 5,8 მილიონით, სასახლო განათლების სამინისტროს — 2,6 მილიონით მეტი, იუსტიციის სამინისტროს 2 მილ., სახელმწ. კრედიტის სისტემისთვის — 4,5 მილიონი. განსაკუთრებულ ხარჯებიდან 166 მილიონი სახელმწიფო რკინის გზების ასაგებათაა დანიშნული. 1901 და 1902 წლების ხარჯები გასტუმრებულია და საზიხის თავისუფალი ფული დარჩა 1903 წლის 1-ლ იანვრისათვის 50,7 მილიონი და ჰარიეში სესხათ აღებული — 148,5 მილიონი, სულ 199 მილიონი. ამ თანხით უნდა დაიფაროს 272,2 მილიონი, რომელიც არანფულეობრივი ხარჯების შესავსებათაა სჭირდა.

ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს ოდგიერთ არა სასურველ მოკლენას ხალხის მეურნეობაში კასულ წელს: არ შეიძლება გაუმჯობესების აღნიშვნა მრეწველობაში, ზირ-იქით გაჭირვებაში კიდევ იმატა. რკინის წარმოებაში და მრეწველობაში 1901 და 1902 წლებში იკლო, მაგრამ კატილებით იმატა 1897 და 1898 წლებზე; ამის მიუხედავად ეს დიდთა შესანიშნავი მრეწველობა გაჭირვებაშია. რკინის გზის წარმოებაში ძალიან წაღვა ფეხი, თუმცა ორი უკანასკნელი წელიწადი გაჭირვებისა იყო. ამასვე ვხედავთ მრეწველობის სხვა დარგებში.

საქარხნო ინსპექცია, რომელიც ღვემდე ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, ახალი წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა.

## ჩ ა ი ზ ი...

### I.

— კიდევ ერთი ჭიქა, გრიგორ! ეპატიებოდნა მასპინძელი.  
 — გმადლობთ, საკმარისია.  
 — კი, კი, კიდევ ერთი, აი ამ კომმის მურაბით. საგანგებოთ დამზადებულია, ამბობდა დიასახლისი.  
 — ლაპარაკი რა საქროა, ანეტა-ჯან, დაახნი გეთაყვა, აღერსით უთხრა მასპინძელმა მეუღლეს და პაპიროსს კბილი დააჭირა.  
 — ნება თქვენია, დანებდა სტუმარი და თითონაც პაპიროსის საძებნელათ პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო.  
 დიასახლისმა ჩაი დაახნა და თავაზიანათ სტუმარს გაუწოდა.  
 — გმადლობთ, ბატონო ანეტა, ნუ სწუხდებით, ზრდილობიანათ უთხრა გრიგორმა და პირში დაგუბებული თამბაქოს ბოლი ერთბაშათ გამოაღწეა და თანაც დაუბერა, რომ ჰაერში ჩქარა გამქრალიყო.  
 — ჰო, იმას მოგახსენებდი, ბ-ნო ვასილი, მიუბრუნდა სტუმარი მასპინძელს. — მე სწორე გითხრა სრულებით თანავუგრძნობ გუშინწინ ვახეთში ამოკითხულ ახალ აზრს, მე... საზოგადოთ პროგრესისტი ვარ, ან რათ არ უნდა ვიყო, რაც საუკეთესოა, იმას უნდა მივსდიოთ. ქვეყნიერობა, ჩემო ძმაო, წინ მიდის და მეც თან მივყევარ, აღარ მინდა ჩამოვშორდე... ვერ გამიგია ზოგიერთების ხასიათი... ხასიათი თუ... უფიცობა... თუ გაუგებრობა... თუ... ერთი სიტყვით, როგორც გინდა დაარქვი და საანბანო ქეშმარიტებასაც ხშირათ დამტკიცება და ახსნა რომ სჭირია?.. საზოგადოებაში აქსიომა-საც რომ ფეხი ვერ მოუკიდნია?! ძმობას გეფიცები, მივირს! რა საზოგადოება გინდა... აი თუ გინდ ავიღოთ; კაცი განათლებული, უმადლეს სწავლა დამთავრებული, გამოცდილი,

აგერ ნადგორნი სოვეტნიკი, ნათლათ მოაზრე... რაც გინდა, ყოველისფერი, მაგრამ წარმოიდგინე, როცა ვახეთში წავიკითხე და ვუწვივნი... სწორეთ, ამას წინათ ქვეყნიერებას ვფიქრობდი და როცა წავიკითხე ჩემი აზრს... ანაზნა, ან გამიკვირდა, თან გამიხარდა და მაშინათვე მიუბრუნინე... და წარმოიდგინეთ! არაფრათ ჩაავლო. „ვკ! საქმე შემოაღვეთათ, რას ბოდავენ არ იციანო!“ მოდი და კითხე ეხლა.

— ეს რომელი ყოფილა? კითხა დიასახლისმა და ეშმაკურათ ცალი წარბი აიბზიკა.

ვასილი კი ოდნავ დაფიქრებული ძირს იყურებოდა.

— აი ჩემი ამხანაგი ლუკა პართენის ძე! მიუგო სტუმარმა, ვერაფერი გზით ვერ დავაჯერე! მე ვეუბნები, კაცო, აი ძმაო ლუკა, ვანვსაჯოთ! ქვეყნიერება, ჩემო ბატონო, ქალი და კაცისაგან შესდგება. საცა გინდა მიხვიდე, თუ საზოგადოება არის, თუ ხალხია, უსათუოთ ქალი და კაცი იგულისხმება. მათი ინტერესები ერთმანეთთან მჭიდროთ გადახლართულია... ამიტომ ქალი და კაცი, რაც შეიძლება დაახლოვებით უნდა იცნობდენ ერთმანეთს. ერთმანეთის აზრი, მისწრაფება, სული და გული... ერთი სიტყვით მთლათ ერთმანეთის ღირსება-ნაკლულევენება ნათლათ უნდა ქონდეთ წარმოადგენილი. მამასადამე საქროა ისინი პატარაობითვე ერთათ იზრდებოდენ, ერთმანეთს მიეჩვიონ, ერთმანეთის ბუნება, ღირსება-ნაკლულევენება ასწონ-დასწონონ და როცა გაიზრდებიან და რიგზე და წესზე დაიყარებულ კანონიერ ცხოვრებას დაიწყებენ, მაშინ მათ შორის ყოველგვარ უსიამოვნებას, თუ სულ არ მოისპო, ნაკლები ადგილი მაინც ექნება. ეს ისეთი ამკარაა, როგორც მე გრიგორი ვარ და თქვენ ვასილი ბრძანდებით. ამასვე მე... როგორც კაცი, ისე თავის თავათ ვფიქრობდი და წარმოიდგინე, საუკეთესო პედაგოგებიც ამასვე ამბობენ და ბექდვითი სიტყვის შემწეობით საზოგადოებას გაუზიარეს.

— რასაკვირველია... დიახ, დინჯათ მიუგო ვასილმა.

— მაგრამ რა ვიცი... მე პედაგოგის, მართალი გითხრა, იმდენი გაშეკება, რამდენიც ღორს ფორთოხალი... მაინც მე ვფიქრობ, რომ პატარაობისას, ე. ი. ასე შეიდი რვა წლის ბავშვები ერთათ, მესმის და თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალ-ვაჟი ერთათ, თუ ერთ სახლში მოათავსე აღსაზრდელათ, ნება თქვენია და მგონი მარტო სულის და გულის გაცნობას და ხასიათის აწონ-დაწონვას არ დასჯერდებიან, მგონია... ქალი ხომ იცით, ჯოჯოხეთის ალია... ხი, ხი, ხი, ხი, ჩაიკისკისა მასპინძელმა და ცოლს შეხედა.

— ქალი ვითომ რა? იწყინა დიასახლისმა, — რატომ მარტო ქალი გვლანდება თვალ-წინ. თუ ქალი ჯოჯოხეთის ალია, მაშინ...

— მაშინ კაცი ხომ მისი საწვაგი ხმელი შეშაა, სიცილით დასძინა გრიგორმა. — არა, ნეტ, Василий Васильевич, ეს ახალი აზრია და იმიტომ ასე გეჩვენებათ, თორემ...

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, გააწყვეტინა დიასახლისმა, — მე ის მინდოდა მეთქვა, რომ საზოგადოთ მამაკაცებს ჩვეულება გაქვთ ხოლმე: ყოველი სიბოროტე-სიავის მიხეზათ ქალი მიგაჩნიათ და სამართლიანათ საქმეს თუ დაუუკვირდით, სულ წინააღმდეგი უნდა მივილოთ, იმდენ სისამაღლეს, რამდენსაც მამაკაცი ჩაიდენს, ქალი, რაც გინდა დაკეპული იყოს იგი, ვერც კი მოიფიქრებს...

— უკაცრათ, მომითმინეთ, ბატონო, დინჯათ დაიწყო სტუმარმა, ერთიც ჩაი შეხვირია. — სიავ-კარგეში თუ რომელი სჯობიან — ქალი თუ კაცი საზოგადოთ, მაგასვე გადაჭრილათ რა მოგახსენო. მე მხოლოთ ერთი ორი სიტყვა მინდა შეგნიშნო ამ საგანზე. საზოგადოებას, ბატონო, ვთქვათ ხალხს, რაც შეიძლება მოუპარიღო სიტყვას სტუმარმა, სხვა მრ-

ვალ ნაკლულევენებათა შორის ერთი ნაკლულევენებაც სჭირს. რამე გაგონილ აზრს საზოგადოება ჩქარა ითვისებს და იმეორებს. რომ დაუკვირდეს, რამდენათ მართალი და ჭეშმარიტია, კრიტიკაში გაატაროს, არ შეიძლება... მიღებულია, მაგალითათ: „ქალებმა დააქცია ქვეყანა“ და მორჩა და გათავდა — დიდა და პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, უხდება თუ არ უხდება; უნდა თუ არ უნდა, აკერებს და აკერებს ლაპარაკში. აგრეთვე მამაკაცებზედაც ამბობენ: „მამაკაცები საზიზღრებია“ და გათავდა, ამასაც იმეორებენ და იმეორებენ.

— მე ყველა კაცებზე კი არ მითქვამს, შენიშნა დიასახლისმა.

— არა, ბატონო, თქვენზე კი არ ვამბობ. პირადათ თქვენზე, ან ვასილი ვასილის ძეზე, ღმერთმან დამიფაროს. ეს საზოგადო კილოა ჩვენი ერთობ რაღა, დაბეჯითებით სთქვა სტუმარმა და პაპიროსს ნეკით ნახათ ფერფლი მოაშორა და საფერფლეზე დააბერტყა. — ერთიც და მეორეც შემცდარი აზრია, ბატონო. პატიოსანი და სინიდისიანი კაცებშიაც არის და ქალებშიაც, ჩემო ბატონო. დამერწმუნეთ, ბატონებო, რომ ეს შემცდარი აზრი ერთმანეთზე ქალთა და კაცთა შორის მჭერმეტყველი მლაღადებელია იმისი, რომ ქალი და კაცი ნაკლებათ იცნობენ ერთმანეთს და საჭიროა პატარაობიდანვე შეეთვისონ ერთმანეთს. მე სწორე გითხრათ ძლიერ მაინტერესებს ეს კითხვა და ძლიერაც ვუკვირდები ამ საგანს, ღირსეულათ ხმა აუმატა სტუმარმა და ოღნავ თავჩაქინდრულ მასპინძელს გადახედა... — ქალებს იმოდენათ არ ვიცნობ და მამაკაცებზე კი გეტყვით, რომ მათდა სასახლოთ, არა ერთი და ორი ყოველათ პატიოსანი ადამიანი ვიცი... მაგალითისთვის შორს არ წავალ, პირ ფერობით არ ვიტყვი და... შეხედა სტუმარმა დიასახლისს,

— აი თუ გინდ ავიღოთ თქვენი მეუღლე! დიდათ პატივცემული ბ. ვასილი. დიდი ხანი არ არის რაც ვიცნობ, მაგრამ ეს მცირე დროც სრულებით საქმარისია, დაბეჯითებით ვსთქვა, რომ... ერთი სიტყვით, თუ კაცი სანდოა, უნდა იყოს მისი სითავმდაბლე, შრომის მიყვარეობა, პატიოსნება, ზნეობა... მეც ვხედავ და არა ერთი და ორისაგანაც გამიგონია. ამიტომაცაა კიდევ ისე შევეთვისე რომ...

მასპინძელმა თავი კიდევ უფრო ჩაქინდრა და მორცხვით ახედა ხან ცოლს და ხან სტუმარს.

— აი თუ გინდ ავიღოთ კიდევ ჩვენი ოჯახი, რიხიანათ გააგრძელა სტუმარმა და მურაბიანი ჩაი კიდევ შეხკრიბა — ტრახხახით არ ვიტყვი და... მამა ჩემი რომ გარდაიცვალა, შეიდი სული ობლები დავრჩით დედის ხელში სულ ერთი ერთმანეთზე მიმდევრები. უფროსი, მგონია, თერთმეტი წლისა იყო. რა გაქირვება, რა დავიდარაბა არ გამოვიარეთ, მაგრამ ზნეობა მაინც არ შეგვიღალხავს. ერთ რასმე ჭორს, ან რამე ცუდს კაცი იტყვის ჩვენ ოჯახზე? არ გაგონილა, აბა, პა, პა! ერთი უბრალო ჩირქი არ მოგვცხებია. ჩვენ, შეიღებებიც, ისეთ მაღალ ზნეობიან საფუძველზე აღგვზარდა, რომ დღე ყოველ მისი მადლობელი და მლოცველი ვარ. განა ქალაქში არა ვცხოვრობდით? საცა ყოველ ნაბიჯზე ათასგვარი საფრთხეა... მაგრამ წესიერმა აღზრდამ ყოველ „აღიან-ჩაღიანისაგან“ დავიფარა. ოხ, რამდენი ვიცი ცუდი აღზრდის მერხებით გარყვნილების მორევში გადავარდნილი! ეს ბოლო სიტყვები ზიზღით წარმოსთქვა სტუმარმა და ჩაი კიდევ რამოდენჯერმე შეხკრიბა. — ნ... და... ასეა ბატონო, დამერწმუნეთ, ამოიხვრით დაუმატა, — მამაკაცებშიაც ურევია რიგიანი და ურიგო პირი...

— რასაკვირველია, შენიშნა მასპინძელმა, — მეც ერთი და ორი არ ვიცი რიგიანი და პატიოსანი... აი თუ გინდ

გაბრიელ პეტრეს ძე გულკეთილი და ღვთის მორწმუნე, ექვს წელიწადს ეკლესიის მნათეთ იყო. ყველასაგან მადლობა და პატივი დაიმსახერა; ქების ფურცელი დაწერილად თხევაც მიიღო. ღმერთიც ეწევა; სამი სახლიც კაცნა...

— დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, ხალისიანად შეხედა სტუმარმა მასპინძელს და მარჯვენა ხელი გულზე მიიდვა, დამერწმუნეთ, რომ თუ ახალ აზრის თანახმად გავრცელდა განათლება, უზნეობას და უპატიოსნებას ადამიანთა შორის ადგილი არ ექნება, ჩვენ თითო-ორღა მაგალითი მოგვყავს პატიოსან კაცებისა და მაშინ წინააღმდეგ უპატიოსნო კაცები შეგვექნება თითხედ ჩამოსათვლელი.

— ღმერთმან ქნას, ღმერთმან ქნას, გაუბედავით ამბობდა მასპინძელი, თითქო ნაკლებათ დარწმუნებულია სტუმრის სიტყვების ძალაშიო.

— მერწმუნეთ, მერწმუნეთ, უღვაშების გრეხით ამბობდა სტუმარი...

— კი, კი, მეც თანახმა ვარ, მეც... გულუბრყვილოთ წარმოსთქვა დიასახლისმა.

— მეც მოტრფილვ ვარ კაცობრიობის ზნეობის განსაზღვრებისა. საჭიროა კი არის სწორედ, რამე წამალი მოიძებნოს, თორემ შენი მტერი! სულ დაეცა ნამუსი. განსაკუთრებით ამ ქალაქ ალაგას, სადაც მთელი მიღეთის ხალხი შეეჯგუფებულია, რა და რა არა ხდება, ღმერთო ჩემო! ქუჩაში რომ გავიხედავ ხანდისხან, პატიოსნებას გეფიცები, გული მერვეა! ისეი საზიღარ სცენებს წავაწყდები, ეს ქუჩაში კედლების გარედ და კედლების შიგნით კი ვინ იცის რა ხდება. ალბათ გულზე ამდენათ იმიტომ მხედებოდა, რომ... შეჩერდა დიასახლისი, თითქო თქმისა რცხვენიაო და ცოტა შეწითლდა... — მეც, ბატონო, თქვენი არ იყოს, ცოტა სასტიკ ზნეობიან ოჯახში ვარ აღზრდილი. დედა ჩემი, აცხოვნოს ღმერთმა, მამა ნუ წამიწყდება, ისეთი მაღალი ზნეობის ქალი იყო, რომ ეხლაც, როცა წარმოვიდგენ, გაცხებული ვარ... ღმერთო ჩემო! ოცდა ერთის წლისა ვიყავი, როცა გამათხოვეს და რას ერქვა გათხოვება, ბინდ-ბუნდათ მქონდა წარმოდგენილი. ვითომ გგონიათ კარჩაკეტილათ ვცხოვრობდით? სრულებით არა! თუმცა ძველი დროის ქალი იყო, მაგრამ, თქვენ რომ ბრძანეთ, იმ ახალი აზრისა იყო ისიც. ეტყობა ბუნებით დიდი ნიჭის მქონი უნდა ყოფილიყო, თორემ აბა ვინ ეტყოდა. პატარაობითვე რაც მახსოვს სულ სტუმრები მოდიოდნენ ჩვენსა. ვინ გინდა, ვინ გინდა, ბატონო: გიმნაზიელები, აფიცრები, თითქმის სემინარიელებიც. ერთი ჩვენი ნაცნობი სემინარიელი ეხლა ბლაღოჩინია, თურმე ჩემი ცოლათ შერთვა უნდოდა, ხი, ხი, ხი, ჩაიკისკისა დიასახლისმა და ქმარს გადახედა. — მაგრამ თურმე საბრალომ წინადადების მოცემა ვერ გაბედა, ეხლახან შემხვდა. გამეცინა, რომ ვნახე. კინალამ ვერ ვიცანი, ვასოჯან, მიუბრუნდა ქმარს. — ვზივარ კონკაში და, შევხედე ვილაც მღვდელი თავს მიკრავს, შევაჩერდი, ის, ანდრო, ღმერთო, გამეცინა. სალაპარაკოთ, რომ შემხვედროდა ყავაზე მოვიწვევდი, შენ ხომ არ გეწყინებოდა, ვასოჯან! და ქმრისკენ გადახარა დიასახლისი.

— ეჰ! ზანტად ხელი დაიქნია ვასილმა და დალილი თვალებით სტუმარს შეხედა და უშნოდ ჩაიციანა, თითქო უნდა სთქვასო: რას ბოდავს ეს დედაკაცი, ჩემგან იქვიანობა ვის გაუგონიაო.

— ხა, ხა, ხა, გულიანათ ხარხარებდა სტუმარი და თან ჩაის ხვრებავდა.

— იმას მოგახსენებდით, რამდენი უცხო პირები მოდიოდნენ ჩვენსა, გააგრძელა დიასახლისმა, მაგრამ ერთი ბეწო რა-

მე ჩვენ ოჯახში? ღიერთმან დაგიფაროს. პრინცის შვილიც რომ ყოფილიყო, ვერ გაბედავდა ერთ რასმე უდიერ და უწესო სიტყვასაც კი. დედა ჩემთან? მაგისტანები რამე? ოი, ოი, ოი! ერთხელ, მახსოვს, ერთმა ოფიცერმა, ნასვამი უნდა ყოფილიყო, რალაც გაიხუმრა, ცუდი რამე ეთქვას არა, ისე... და დედა ჩემმა მაშინათვე სახლიდან დაითხოვა და ის იყო და ის, მას შემდეგ არ მიუღია. ჩვენ კი ისე გვზრდიდა, რომ... აი ვასოსაც კითხეთ, ეხლაც მარტო რომ დავრჩები მასთან, თითქო რალაც მრცხვენია...

— რა სათქმელია, ბატონო, განა არ ვიცი, რწმენით მიუგო სტუმარმა. ცხადია, ბატონო! მე ერთობ მოხარული ვარ! როგორც გეტყობათ თქვენც თანაუგრძნობთ ახალ აზრს და ცოცხალ მაგალითთაც გვიმტკიცებთ. დროა, დროა ბატონებო! ალტაცებით წარმოსთქვა გრიგორმა, დროა, რომ ვისაც ცოტა რამ განათლება მიუღია და ზნეობაც შეუღაზი შეჩვენია, დაეხმაროს ამ საზოგადო, თითქმის მსოფლიო უსაქიროვს და კეთილ საქმეს... მიკვირს ვასილი, ტკბილათ მიუბრუნდა მასპინძელს, კაცო! ზოგიერთს, რა ზოგიერთი გინდა, თითქმის უმეტესობას დღემდე დაუჩემებიათ ის დახვესებული აზრი, ვითომ, თუ ქალი და კაცი ერთად არიან უსათუოდ რასმე უზნეოს გაივლებენ გულშიო. დაჯახვრა ღმერთმა, მე ვითომ კაცი არ ვიყავი? ცოლის შერთვამდი რამდენ ქალს ვიცნობდი, ანგარიშიც არ ვიცი, ზოგიერთთან მარტოც შემხვედრია დარჩენა, სეირნობა, მაგრამ, უბრალო მეგობრობის გარდა, რომ არაფერსა ვგრძნობდი?!

მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, ახალი განათლება გაფანტავს ველოურ შეხედულებას ქალ-ვაჟთა დამოკიდებულებაზე და მოვა დრო, როცა უცხო ქალი და კაცი ათას ვერსტსაც გაივლიან ისე როგორც და და ძმა, მე ეს მტკიცეთ მრწამს, ბატონებო, მტკიცედ, მომავალი დროს ყურებაც საჭირო არაა. ნამდვილი განათლებული, მე აქ ნამდვილ განათლებულს ვგულისხმობ, ეხლაც ისე იქცევა, როგორც სასურველია. მხოლოდ ცრუ სოფელი და თათრები ფიქრობენ, რომ უცხო ქალის ან კაცის გულგრილათ ერთად ყოფნა შეუძლებელიაო და ამიტომაცაა იქვეულობენ და იმალებიან.

მასპინძელმა თავი ისევ ჩაქინდრა. ეტყობოდა მას თავისი კერძო საქმეები უფრო აწუხებდა, ვინემ მსჯელობა იმაზე, თუ ვინ სჯობთ; ქალები, თუ კაცები, ან მათი ერთათ თუ განცალკევებულათ აღზრდა სჯობდა. ის მაგ გვარ ფიქრებით თავს არ იწუხებდა. ის პრაქტიკის კაცი იყო. აკეთებდა თავის საქმეს რიგანათ და გულმოდგინეთ და დაულალავათაც, თუ გნებავთ. თვეში სამი მანეთიდან დაიწყო თუთხვეტის წლისამ რკინის გზის დეპოში და ეხლა, ოცდა მეცხრამეტე წელში, თუთხმეტ თუმანზე მეტს იღებდა ერთ კერძო მდიდარ ქარხანაში. ხანდისხან სმაც უყვარდა და თამაშობაც და თუ თავისუფალი დროც გადარჩებოდა, უმეტეს ნაწილათ, ეძინა.

(შემდეგი იქნება).

კოდრა პატრია.

### ქუჩის აღსკვეთებიდან.

„ცნობის ფურცლის“ პირველი იანვრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„დღეს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთის „კვალი-სა“. ვინც რა მიმართულების უნდა იყოს ჩვენში, ყველა სიხარულით უნდა მიეგებოს გაზეთის ათის წლის მოღვაწეობას.

„კვალის“ არსებობა თვალსაჩინო და მნიშვნელობიანი მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში იგი პირველათ ვერ აღგა

გარკვეულ გზასა და მიმართულებას; მხოლოდ შემდეგ მიიღო ის ერთნაირი, გამორკვეული ხასიათი, რომელიც დღეს აქვს. გაზეთმა განაგრძო „დროების“ დაწყებული საქმე; — თავის საგნათ გაიხადა ხალხის, მშრომელ ხალხის ინტერესებს; იგი შეიქნა ხალხური გაზეთი; მშრომელ ხალხის სიყვარულს მარტო ხალხის ხსენებით არ გამოხატავდა...

ვინც ხალხს დაუახლოვდება, არ შეუძლია პირველი ადგილი არ დაუთმოს ეკონომიურ საგნებს, რადგან მისთვის აშკარა ხდება, რომ ხალხის უკან ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი მისი ქონებრივი დაქვეითებაა. ეს საკითხი შეიქნა „კვალი-ს“ დედა-საგნათ და მას მიაპყრა მთელი თავისი ყურადღება; ხშირათ ივიწყებდა კიდევ ცხოვრების სხვა პირობებს, მაგალითათ, ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას ეროვნებას. ამითი, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ „კვალი“ ანტიანციონალური იყო.

ჩვენ შემდეგ ვრცლათ მოვილაპარაკებთ ამ საგნის შესახებ. აქ კი მივესალმებით ჩვენს თანამოძმეს: ძნელი გზა გაიარა, მძიმე ტვირთი და მოვალეობა აწვა თავზე, მაგრამ ნაყოფიერათ განვლო მისმა ათის წლის ცხოვრებამ და არავის არ ძალუძს გვერდი აუაროს მას და არა სცეს შესაფერი პატივი.

არა ერთი შეცდომა მოსვლია გაზეთს თავის მოღვაწეობის ორივე ხანაში, ზოგი მოვლენა ჩვენის ყოველდღიურ ცხოვრებისა შესაფერისად ვერ დაუფასებია; ბევრში არ ვეთანხმებით გაზეთს, ხშირად მოგვსლია უთანხმოება და კიდევ მოგვივა, მაგრამ ეს არ გვიშლის დავაფასოთ მისი დამსახურება.

სულით და გულით ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს!“

ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ რედაქციას ამ გულწრფელი მოლოცვისათვის. ჩვენც გვწამდა და გვწამს, რა რიგ უთანხმოება და დავაც იყოს ჩვენს შორის ამტყდარი, ამან ვერ უნდა შეგვიშალოს ხელი ერთმანეთის პატივისცემა გვქონდეს და მოღვაწეობა ღირსებისამებრ დავაფასოთ. რაც შეეხება იმ შენიშვნას, რომ ჩვენ ეროვნულ მხარეს ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევდით, ამაზე უნდა მოვახსენიოთ შემდეგი: ჩვენის აზრით ეროვნული ცხოვრება განუყრელია ერის უმრავლესობის ცხოვრებისაგან. და თუ ეს უკანასკნელი ნივთიერათ და საზოგადოებრივათ გაძლიერდება, ამით უმეტესათ გაძლიერდება პირველიც. ეს ჩვენ დავამტკიცა უკანასკნელი წლების ამბებმა. ჩვენი ხალხი რაც უფრო იგნებს თავის ინტერესებს, ვითარდება გონებრივათ და მისი შეგნება მატულობს, მით უფრო ერევა ის ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სვე-ბედის გადაწყვეტაში, მით უფრო ის ებლაუჭება ქართულ ხელოვნებას, ქართულ მწერლობას, ქართულ ენას—ერთი სიტყვით ქართულ კულტურას. ამისათვის ჩვენ დარწმუნებული ვართ, ხალხის ნივთიერი და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა არის იმავე დროს მისი ეროვნობის დაცვა და განმტკიცება. ჩვენ ეს არა ერთხელ გამოგვითქვამს და ახლაც გავახსენებთ მკითხველს.

### შავი ქვის სამეფოდან

აკი მოვახსენეთ რომ „Новое обозрение-ს კორესპონდენტი არ უღალატებს თავის დანიშნულებას მეთქი. გამოვიდა 20 ამ თვის ნომერი. გადავათვალიერე და მივედი „Намъ пишуть“-ამდი და ამოვიკითხე ჩვეულებრივი ქება-დიდება შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შესახებ.

ქუთაისიდან სწერენ: ქართველი სტუდენტებიდან ბევრი თხოვნები მოდის და შემწეობას თხოულობენო, ამისათვის

საბჭოს აზრათა აქვს კრებას მოახსენოს, რომ სტიპენდიებს მოემატოსო. კარგი რეკლამაა. საბჭო სულ საზოგადო საქმეებისთვის ცდილობს, მოსვენება არ აქვს: გზები, განათება, განათლება, საკვირაო შკოლა, ისე შკოლა, აბანო მუშე'ისთვის, სახალხო სახლი და სტუდენტებიც არ დაუფიწყია. მოდით და ამისთანა მოღვაწეებს თაყვანს ნუ სცემთ?

ჩვენ წინა წერალებში დავამტკიცეთ, რამდენათაც შეგვეძლო, თუ როგორ უმოღვაწიათ ამ ბატონებს ზემო ჩამოთვლილ კითხვებზე. ეხლა სტუდენტთა დახმარებაზე, ამ ახალ სარეკლამო საგანზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ორს საბჭოს სტიპენდიანტს. ერთი მათგანი იმის მაგიერ, რომ თავის საქმეს ეკიდებოდეს მუყაითათ, სხვა და სხვა სავაჭრო საქმეებს მოკიდა ხელი და ნამდვილი კომისიონერის როლს ასრულებს. წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც ჩამოვა საზღვარ გარეთიდან ჩვენში და წავა... მეორე სტუდენტის მამა სამსახურშია და იღებს თვეში 150 მანეთამდის და მამა კი 100 მანეთს. არ ვიცი თუ ამისთანა სტუდენტს ეჭირვება შემწეობა, მაშინ ვინ არის ჩვენში იმისთანა, რომ არ ეჭირვებოდეს დახმარება?

მე მგონია მარტო სტიპენდიების მომატება არ კმარა. საჭიროა გამოირკვეს თუ რა ნაირათ უნდა გაწესდებოდეს გადადებული ფული, მაგრამ ამისი ჯავრი არ აქვს ბ. კორესპონდენტს; მას უნდა მხოლოდ აჩვენოს საზოგადოებას, რომ საბჭოს სიმპატიური მიზანი აქვს... რეკლამის ავტორსაც თავისი მიზანი აქვს...

ამავე ნომერში იგივე კორესპონდენტი განაგრძობს: სარევიზიო კომისიას, როგორც ისმის, არ უნდა კრებამდის გამოსცეს თავისი რევიზიის მოხსენება და ამითი საბჭო საშვალეებას კარგავს თავი გაიმართლოსო. აჰა, ხომ გლახა ყოფილა ბ-ნო კორესპონდენტი, რომ კაცი თავის დროზე ვერ მიიღებს ანგარიშს, რომ მოემზადოს და საფუძლიანი მსჯელობა იქონიოს საგანზე? აგრეთვე არ არის ჩვენთვის სასიამოვნო, რომ აგერ-აგერ კრება გაიხსნება და ანგარიშები საბჭოს მოქმედებისა ჯერაც არ არის დაბეჭდილი (არის მხოლოდ კასის ანგარიში) და არც იქნება, როგორც ისმის ამ თავის ბოლო რიცხვებამდის. ამ უქმეებში ვინ და როგორ უნდა შეიძინოს ანგარიშების წიგნი, როცა ყველა თავ-თავის სახლშია წასული დასასვენებლათ. ვააცილებს დღესასწაულებს და კრებაც გაიხსნება და ჩვენ ისევ ის დღე დაგვადგება, რაც მესამე კრებაზე: ანგარიშები მხოლოდ კრების გახსნის დროს გვექნება ხელთ. ამითი მე არ ვამართლებ სარევიზიო კომისიას; მან თითონ გაიმართლოს თავი; მაგრამ რატომ ბ. კორესპონდენტი, თუ კი კომისიას ამტყუნებს და უსაყვედურებს, არ უსაყვედურებს თვით საბჭოსაც! მაგრამ ეს უკანასკნელი ე. ი. სიმართლე და მიუდგომლობა, არ შედის მის პროგრამაში, თუ კი აქვს მას რაიმე პროგრამა მოქმედებისა, რასაც ჩვენ ვეჭვობთ. ხელთ გვაქვს კიდევ 21 დეკემბრის ნომერი „НОВ. ОБ.“ უეჭველია, აქაც რეკლამა უნდა იყოს და არის კიდევაც!

ეს თვითონ მკითხველმა გასაჯოს. დასასრულ უნდა საჯაროთ აღვიაროთ, რომ „ოპოზიციას“ არ აქვს არავითარი კავშირი ყოფილ სათავათ-აზნაურო ბანკის ex-თავმჯდომარესთან, რასაც ოპოზიცია დაამტკიცებს თვით კრებაზე და მანამ რამდენიც უნდა ვთქვათ, უმნიშვნელო იქნება. მხოლოდ ბ. ნაფიცი კორესპონდენტი თუ იხსენიებს ამას და სხვებიც ავრცელებენ საზოგადოებაში ამისთანა ხმებს, ეს იმიტომ რომ უნდათ სახელი გაუტეხონ ოპოზიციას. ეს არის მათი მიზანი, მაგრამ არა გვეონია, ვინც კი იცნობს „ოპოზიციას“, იმან დაუჯეროს ამისთანა ზღაპრებს, ვინც არ იცნობს, უფლება აქვს რაც უნდა ის თქვას...

P S როგორც მოსალოდნელი იყო „ბალი-არის“ უნივერსიტეტმა ვითომ პასუხი გაგვცეს ჩვენ უნივერსიტეტის ფურცლიდან“. მე წინა წერილშიდაც ვთქვენი, რომ ვამბობ, რომ ჩემ წერილზე საფუძლიანი უნივერსიტეტის სიამოვნებით მივეგებები, მაგრამ ისიც ვთქვი, რომ სიტყვის ბანზე ავღეა ნუ იქნება-მეთქი. მაგრამ ბ. ბეჟანეიშვილმა და „სპექტატორმა“ მაინც სიტყვის ბანზე ავღება არჩიეს...თვით ბეჟანეიშვილი ამბობს: კვიცარიძემ და კაკაბაძემ შემომიკვეთეს წიგნები საკვირაო შკოლისთვის. მე მგონია ბიბლიოთეკა და შკოლა ერთი და იგივე არაა. ჩვენ ბიბლიოთეკაზე ვლაპარაკობთ, ის კი შკოლაზე და ეს კი სიტყვის ბანზე ავღება\*). ბიბლიოთეკას ასე მსხეთამდი წიგნი გავუზზავენო. ეს სიტყვები, რომ არ ვთქვა ის სჯობდა. რა არის ასი მანეთის წიგნი ბიბლიოთეკისთვის? მაგრამ ამდენისაც არ არის ნაყიდი, არამედ გაცილებით ნაკლების და ისიც ორი წლისწინათ, ჩვენ კი უკანასკნელ წელზე გვქონდა ჯანაჯია ჩვენ წერილში. ვაზე-თები კი მოდის; ჩვენ ამის უარს არ ვართ, მაგრამ ბიბლიოთეკა და მარტო ვაზეთები?! ისიც სად? ვის სამკითხველოში? ისიც იცით როგორ? მაგ. ვაზეთი „С. Пет. Вѣдомости“, „Новости“ და სხვა რამდენიმეც ჯერ ქუთაისში მოუჯის თვით საბჭოს და შემდეგ ქათურაში გზავნის. ეკონომია ბატონო, გარდა ამისა... მაგრამ კმარა, ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს და არც გვცალიან პასუხი გავცეთ ბ. ბეჟანეიშვილებს, სპექტატორებს და მავანთ, რომლებსაც სიტყვის ბანზე ავღებით უნდათ საქმე გაიტანონ. ვისაც სურს, მზათ ვართ ვუპასუხოთ, მხოლოდ კიდევ ვიმეორებთ: ფაქტებს ნუ ამახინჯებენ და სიტყვას ბანზე ნუ ავღებენ.

ეული

### ჭ ი ა თ უ რ ი ს ვ ი თ ა რ ე მ ა .

#### II.

პირველ წერილში მე ვთქვი, რომ თანახმათ ქიათურის შავი ქვის მრეწველთა მესამე კრების გადაწყვეტილებისა, 1901 წლის 21 თებერვლიდან შავი ქვის მადნებში მომუშავენი დაზღვეულ იქმნენ უბედურ შემთხვევათაგან. იქვე იყო ნათქვამი, რომ ამ წერილის უმთავრეს საგანს შეადგენს ამ დაზღვევის გაცნობა და დაფასება, თუ რა სარგებლობა მოუტანა მან მუშებს და ანუ რას უნდა მოველოდეთ მისგან მომავალში, თუ ვინიც ბნა მისი დღევანდელი სისტემა, წესრიგი სრულებით არ გამოიცივალა მომავალი მეხუთე კრების დროს, რომელიც ჩქარა უნდა მოხდეს. მაგრამ, სანამ ამ საგანზე ვადავიდოდე, საჭიროთ მიმაჩნია განვმარტო, რაც შეიძლება მოკლეთ, თუ რას გეძახით უბედურ შემთხვევას, რომლისგანაც იზღვევა მუშა, რა კანონის ძალით ხდება მუშის დამქირავებელი ვალდებული უზღოს ამ უკანასკნელს ის ნივთიერი ზარალი, რომელიც მუშას უბედურ შემთხვევის გამო მოეღოს.

ყველამ კარგათ იცის, რომ უბედური შემთხვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შემთხვევას კაცს, მეც და შენც, მკითხველო; მაგრამ ისიც კარგათ ვიცით ყველამ, რომ ამისთვის არავინ ვალდებული არ არის ჩვენ რაიმე გვიზღოს. სულ სხვაა, როცა დაქირავებული მუშა იზღვება მუშაობის დროს უბედურ შემთხვევისაგან,—მაგრამ ესეც განმარტებას თხოულობს. ყოველგვარი მუშაობა, თუ იგი ხდება ცუდ პირობებში, მაგ., გაფუჭებულ ჰაერში, ან დიდ ხანს გრძელდ-

\*) აგერ თვით კვიცარიძე და კაკაბაძე. თუ მათ ბიბლიოთეკისთვის ერთი შაურის წიგნი უყიდათ საბჭოს ფულებით, ვთხოვთ მათ დაამოწმონ ეს.

ეული

ბა, ასწავლებს კაცს და უღროთ უსპობს მას სიცოცხლეს. მეორე მხრით, არის ისეთი მუშაობა, სადაც ან თვით წარმოების იარაღი, მისი ხმარება უქადის მუშას ხიფათს, ან და თვით დასამუშავებელი ნივთიერება მიუცილებლათ სწამლავს მუშის სხეულს. მუშაობის ასეთი მავნებელი და სახიფათო პირობები წინეთაც, მონობის და ბატონ-ყმობის დროსაც იყო, რასაკვირველია, მაგრამ მიუხედავად ამისა მუშის დაზღვევა უღროთ დასწავლებლისაგან და უბედურ შემთხვევათაგან მხოლოდ სულ ახალი საქმეა. მუშის დაზღვევის გაჩენის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ იგი სხვის სასარგებლოთ მუშაობს, და ამიტომ მისი დამჭირავებელი ვალდებულია მას ზარალი უზღოს. არა. უნდა ვიფიქროთ, რომ შრომისაგან უღროთ დასწავლება და მოწამლევა და ის, რასაც ჩვენ დღეს უბედურ შემთხვევას ვეძახით, უწინ აღბათ უფრო ხშირათ ხდებოდა, ვინემ დღეს, მაგრამ მაშინდელი მუშების დაზღვევა მაინც არავის მოსვლია თავში, ეს იმიტომ, რომ მაშინდელი მუშა სრული საკუთრება იყო თავისი ბატონის, ან როგორც მონა, და ან როგორც ყმა. როგორც ნამუშევარი არ შეადგენდა მაშინდელი მუშის საკუთრებას, ისე არც თითონ მუშა ეკუთვნოდა თავის თავს, იგი სხვისი საკუთრება იყო, როგორც უბრალო ნივთი, და ამ ნივთს ხმარობდნ ისე, როგორც უნდოდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში მონური და ბატონ-ყმური ურთიერთობა შეიცვალა, თანდათან განვითარდა სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც ადამიანის პირადი დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაედვა საფუძველათ. მაგრამ ამ პირად თავისუფლებას მოყვა ნივთიერი ანუ ეკონომიური მონობა. დამავიწყდა მეთქვა, რომ მონობის და კიდევ უფრო ბატონ-ყმობის დროს აქა-იქ იყვნენ წვრილი მესაკუთრენი, მიწის მუშები და ხელოსნები, რომლებიც ასე თუ ისე თავისუფლათ ცხოვრობდნ. ახალი ურთიერთობის განვითარებამ, რაც ფულის მნიშვნელობის გაძლიერების და აღებ-მიცემობის აღორძინების შედეგი შეიქნა, წინანდელი წვრილი მესაკუთრეობა თავისი კარჩაკეტილი, პატრიარქალური მეურნეობით მოსპო და მას მაგიერ წამოაყენა ერთი მხრით სხვილი მიწის მფლობელთა, ხელოსანთა და ფულის პატრონთა კლასები, და მეორე მხრით თითქმის ყოველგვარ საკუთრებას, გარდა თავის სამუშაო ძალისა, მოკლებული მუშა, რომელიც იმავე დროს პირადი თავისუფლებით იყო აღჭურვილი და რომელიც იძულებული შეიქნა თავისი ერთათერთი საკუთრება—სამუშაო ძალა გამოეტანა ბაზარზე გასაყიდათ. წარმოების ტექნიკურ პირობების გაუმჯობესობამ, სხვადასხვა გამოგონებამ და აღმოჩენამ, მეცნიერების პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენებამ სულ უფრო და უფრო შეუწყვეს ხელი ასეთ დაყოფის, დიფერენციაციის, მიმდინარეობის პროცესს. გაჩნდნ უზარმაზარი წარმოებანი, სადაც ათასი და ათი ათასი დაქირავებული მუშები იყრიან თავს. ეს არის თანამედროვე ფაბრიკები, ქარხნები და სამადნოები.

მაგრამ წარმატების ტექნიკურ პირობების გაუმჯობესობას და ამოდენა დაქირავებული მუშების ერთ ქარხანაში თუ ფაბრიკაში თავის მოყრას აი რა მოყვა: ვინაიდან მშრომელი და წარმოების მოთავე სულ სხვადასხვა პირი აღმოჩნდა, ამიტომ პირველ ხანებში სრულებით აღარ მიაქციეს ყურადღება არც შრომის ანტიანტიპარულ და ანტიპიგიურ პირობებს და არც უბედურ შემთხვევათა ასაცდენ ღონისძიებათ; და უნდა ვთქვათ, რომ რამდენათაც გროვდებოდა წარმოება ერთ კაცის ხელში, რამდენათაც უმჯობესდებოდა თვით წარმოების ტექნიკური პირობები, იმდენათ უარეს პირობებში ვარდებოდა თვით შრომა, ე. ი. მშრომელი ხალხი. და ეს არც გასაკვირალია. გარდა ამისა წარმოებაში რთული მაშინების შემოღების გამო გახშირდა უბედური შემთხვევები, ე. ი. მუშების სიკვდილი ან დასახიჩრება. დაუმატეთ ამას მიწის გულის გაქრა და მიწის ქვეშ მუშაობა სხვადასხვა მანქანების გამოსატანათ, ურომლისოთ ყოველდღე უნდა იქნებოდა დღევანდელი მრეწველობის და მასთან თვით დღევანდელი განათლებული კაცობრიობის არსებობა, და აგრეთვე ჯანმთელობისათვის სხვადასხვა მავნებელ ქიმიურ ნივთიერებათა გაკეთება, და თქვენ რამდენიმეთ წარმოიდგენთ თუ რამდენ ნაირი უბედურება მოეღოს თანამედროვე მუშას მუშაობის დროს.

თანამედროვე მრეწველობის განვითარების ხანებში, როგორც მოგეხსენებათ, გამეფებული იყო ასეთი შეხედულება: მუშა სრულიათ თავისუფალია, როცა იგი ყიდის თავის სამუშაო ძალას, მას სრული უფლება აქვს თავისუფლათ აირჩიოს სამუშაო, მაგრამ რა კი ერთხელ აირჩევს, შემდეგ რაც მოუვა, ყველაფერში თითონვეა პასუხის მგებელი. ასეთი ეშმაკური ლიბერალიზმით დამჭირავებლები, მრეწველები, დიდ ხანს იცილებდნ თავიდან ყოველგვარ პასუხის გებას, როცა იმათ მუშებს უბედური შემთხვევა სიცოცხლეს უსპობდა და ან სამუდამოთ ასახიჩრებდა და ასწავლებდა. რამდენათაც იხდებოდა მრეწველობა, იმდენათ უბედურ შემთხვევათა რიცხვი და მუშა ხალხის უღროვით დასწავლება უფრო და უფრო ხშირი მოვლენა შეიქნა. მაგრამ იმავე დროს ასეთი მდგომარეობის უსამართლობა და აუტანლობა აშკარა შეიქნა. ამიტომ როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაში გაჩნდნ ისეთი სასახლო მოღვაწენი და მეცნიერნი, რომლებმაც აშკარათ დაგმეს ასეთი მდგომარეობა და ურიცხვი ფაქტებით დაამტკიცეს რომ რამდენათ იზრდება თანამედროვე საზოგადოების სიმდიდრე, იმდენათ ხალხის ერთი უდიდესი ნაწილი შემდგარა დეგრადაციის, ე. ი. გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური დაქვეითების გზაზე. აქედან იწყება ის დიდებული მოძრაობა, რომელმაც შექმნა ყველა განათლებულ ქვეყნებში ეგრეთ წოდებული საფაბრიკო კანონმდებლობა, რომლის ერთ საფუძველთაგანს შეადგენს ის დედააზრი, რომ მექარხნე კაპიტალისტი პასუხის მგებელია, თუ მის დაქირავებულ მუშას მუშაობის დროს მის უნებურათ რაიმე უბედურება შემთხვა, რომელიც ბოლოვდება ან სიკვდილით და ან დასახიჩრებით, რომელიც სამუდამოთ ბნელებს მას. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია ფაბრიკანტის დაუდევრობით, იგი ნივთიერი პასუხის მგებლობის გარდა, სისხლის სამართლითაც ისჯება. ამ ნაყოფიერ მოძრაობას მოუწყო და მის გაძლიერებას ხელი შეუწყო თვით მომუშავე ხალხის გამოფხიზლებამ და თავისი თავის ინტერესების შეკნებამ. თავისთავათ იგულისხმება, რომ მრეწველები ყოველგვარ საშვალებას ხმარობდნ, რომ რაიმე ნაირათ თავიდან აეცილებიათ მათ სამუშაოში დასახიჩრებულთა ნივთიერათ დაკმაყოფილება, მაგრამ დრო უკვე გამოიკვალა. მრეწველნი იძულებული შეიქნენ უბედურ შემთხვევათაგან დაზარალებულნი დაეკმაყოფილებიათ.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, მუშების დაზღვევა არ გამოუწვევია არც მრეწველთა გულკეთილობას, და არც მათ ქველმოქმედებას—ეს არ არის მოწყალება. პირიქით, რასაც ამ შემდგევვაში მუშას აძლევენ, მან ეს დაიმსახურა არა მარტო შრომით, არამედ თავის სიცოცხლის და თავისი ჯანმრთელობის შეწირვით. ეს დღეს უკვე აღარსად და არავისთვის სადავო საგანს აღარ შეადგენს... ყველაზე უფრო მუშების დაზღვევის საქმე განვითარდა გერმანიაში, რომელიც ამ მხრით ყველა დანარჩენ ქვეყნებისთვის მისაბაძავ მაგალითათ შეიქნა. არც ერთ ქვეყანაში მუშათა დაზღვევას ისეთი ფართო ნიადაგი არა აქვს მო-



პოვებული, როგორც იქ. აი. სხვათა შორის რამდენიმე ცნობა მუშათა დაზღვევის შესახებ გერმანიაში\*): ფული, რომელიც გერმანიის მუშა ხალხმა მიიღო მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში (1885 წლიდან იწყება გერმანიაში ავთომყოფობისაგან დაზღვევა, 1886 წლიდან — უბედურ შემთხვევათაგან, და 1891 წლიდან — მოხუცებულებისა და შეუძლებლობისაგან — ИВНАЛИДНОСТЬ), როგორც პენსია და სხვადასხვა გვარი დახმარება, უდრის ოთხ მილიარდ მარკას, ანუ თითქმის ორ მილიარდ მანეთს. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იმ მუშების რიცხვი, რომელთაც სავალდებულო დაზღვევით უზრუნველყოფილი აქვთ პენსია მუშაობის დროს უბედურების გამო, ავიდა 19 მილიონამდის. გარდა ამისა, ნაწილი იმ ფულისა, რომელიც შეგროვილია სხვადასხვა დაწესებულებაში მუშების დასაზღვევად ეძლევა სესხათ ისეთ დაწესებულებათ, რომელთაც მიზნათ აქვთ მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც, მაგ., მუშათა სადგომების ასაგებათ, საავთმყოფოების, შემნახველ კასების, მომხმარებელ საზოგადოებათა დასაარსებლათ და სხვ. მაგრამ გერმანიაში შემოღებულ სავალდებულო დაზღვევის ყველაზე უფრო თვალსაჩინო შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დაზღვევამ შეამცირა უბედურ შემთხვევათა რიცხვი და აი რათა: ყოველი უბედური შემთხვევა გარდა სხვა უსიამოვნებისა მრეწველს მხრით იწვევს ხარჯს, და ამიტომ იგი ამჯობინებს მის აცდენას, რისთვისაც ღებულობს სხვადასხვა ზომებს. აი რას ამბობს ამის შესახებ პროფ. კონ. პარტმანი: „წარმოების საშიშარ პირობების შესასწავლათ, იმათი მნიშვნელობის დასაფასებლათ და იმათ წინააღმდეგ ზომების მისაღებათ საჭირო შეიქმნა ძლიერი ფაქტორი. ასეთი ფაქტორია უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის კანონი, რომელიც გამოიცა გერმანიაში 1884—1887 წწ., რომლის ძალით, მუშა, რომელიც უბედურ შემთხვევამ დაასწავლა ისე, რომ მუშაობა აღარ შეუძლია, ღებულობს ჯილდოს. ვინაიდან ამ უკანასკნელს იხდიან მრეწველები, ამიტომ ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ რაც შეიძლება შეამცირონ უბედურ შემთხვევათა რიცხვი\*\*). და წარმოიდგინეთ, რომ ის, რის მიღწევას ხასტიკა პოლიციური ზომებით ამაოთ ცდილობდნენ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, სავალდებულო დაზღვევის მეოხებით მიღწეულ იქნა სულ მოკლე ხანში.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ როცა მუშას უბედური შემთხვევა ისე ასწავლებს და ასუსტებს, რომ მას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, სავალდებულო დაზღვევის ძალით მას ეძლევა წლიური პენსია, რომელიც უდრის მის წლიურ სამუშაო ქირას, თუ ეს უკანასკნელი არ აღემატება 280—300 მანეთს, უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქირის 75%, მაგრამ არა უმცირეს 275 მანეთისა წელიწადში.

როგორც ვამბობდით, მუშების დაზღვევამ ჩქარა მოიკიდა ფეხი სხვადასხვა ქვეყნებში, ყველაზე უფრო გვიან მან რუსეთში შემოვიდა ფეხი. აქ მუშების დაზღვევა იწყება მხოლოდ 1888 წლიდან. ფაბრიკანტები და მექარხნეები ჩქარა დარწმუნდნენ, რომ მათთვის ბევრათ უფრო უმჯობესია წინდაწინ განსაზღვრული თანხის გადახდა მუშების საერთო დაზღვევისათვის რომელსავე კერძო დამზღვევ საზოგადოებაში. და მართლაც სულ ათიოდე წლის განმავლობაში დაზღვეულ მუშათა რიცხვი საოცრათ გაიზარდა 1888 წელს დაზღვეული მუშათა რიცხვი მთელ რუსეთში უდრიდა 40,196 კაცს, 1898

წელს კი ეს რიცხვი ავიდა 684,766-ამდის. იმავე დროს დაზღვეული თანხა უდრიდა:

წელი	სიკვდილის დროს.	სრული დაზღვევის დროს.
1888 წელს	28.151.555 მან.	29.738.655 მან.
1898 —	458.968,769 —	621.196,579 —
	დროებ. შეუძ. დროს.	სულ
1888 —	4,003 მ.	57.894,213 —
1898 —	173,909 —	1,080,338,357 —

როგორც ხედავთ, ამ ათი წლის განმავლობაში მუშების დაზღვევას დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ. მაგრამ ნუ თუთქვენ გგონიათ, რომ ამით შემსუბუქდა მშრომელი ხალხის მდგომარეობა? შემდეგი ფაქტი აშკარათ დაგვანახებს ჩვენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას. იმავე ხნის განმავლობაში, ე. ი. 1888—1898 წწ. სხვადასხვა დამზღვევ საზოგადოებათ მიუღიათ ჯილდოთ მუშების საერთო დაზღვევისთვის 7,493,897 მან. და დაუბრუნებიათ ამ ფულიდან დასახიჩრებულ და დასწეულ მუშების დასაჯილდოებლათ მხოლოდ 3.614,061 მან.; 3.825,836 მან., ე. ი. ნახევარზე მეტი თითონ ჩაუდგიათ ჯიბეში\*). ერთი სიტყვით იმ ფულის უდიდესი ნაწილი, რომელიც დაავთმყოფებულ და დასწეულ მუშების სასარგებლოთ უნდა წასულიყო, ისევე ხელში უფარდება დამზღვევ საზოგადოებას რომელსაც მხოლოდ მოგება აქვს მხედველობაში. ამ მოგების უზრუნველ ყოფაზე აგებული მისი წესდება, რომელშიც ათასგვარი საშვალეა დასახიჩრებული, რომ უბედური შემთხვევის გამო დაზარალებულ მუშას ჯილდო არ მისცეს. ამ წესდების ძალით, სრული პენსია, რომელიც ჩვენებურ მუშის წლიური მცირე შემოსავლის ერთ მესამედსაც ძლივს შეადგენს, მაშინ ერგება მუშას, როცა მას არც ერთი ხელი და არც ერთი ფეხი აღარ აქვს სრულებით (შემხმარი მხედველობაში არ მიიღება). აშკარაა, რომ ის საზოგადოება, რომელიც ასეთი წესდებით მოქმედებს, დაარსებულია არა გაუბედურებული მუშის სასარგებლოთ, არამედ თავისი ჯიბის გასასქელებლათ. ამიტომ ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში, ზოგიერთ ადგილას, მრეწველებმა სხვადასხვა გარემოებათა ზეგავლენით საჭიროთ დაინახეს მუშებისათვის თავისი საკუთარი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა დაარსება, გერმანიის მაგალითის მიხედვით, ისეთ საზოგადოებათ, რომელნიც ბევრათ უფრო უზრუნველყოფენ დასახიჩრებულ და დასწეულ მუშებს. ასეთ საზოგადოებათა რიცხვი ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი თანდათან იმატებს. — ქიათურის მრეწველობა საბჭომ კი ამ ორი წლის წინეთ კერძო საზოგადოებაში დაზღვევის გარდა ვერაფერი გამოიხატა\*\*) მაშინ, როცა მისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო ასეთი დაზღვევის მუშებისათვის სრული უსარგებლობა: ქვევით ჩვენ დაინახავთ, თუ რა მოგვიტანა ამ დაზღვევამ და თუ როგორ პირობებში იგი ხდებოდა.

მ. მარილაძე.

\*) იხ. А. А. Прессы. Страхование рабочих в России, 1900 წ. გვ. 7—12.

\*\*) არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს არ სცოდნოდა ასეთი დაზღვევის გამოუდგომლობა. ბ. ზდანოვიჩი თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ თუმც საურთიერთო დაზღვევა ბევრათ უმჯობესია კერძო საზოგადოებაში დაზღვევასთან შედარებით, მაგრამ ამისთვის ჩვენ ჯერ არ ვართ მომზადებული, და ამიტომ უკეთესია „из двух золь выбрать меньшее“, ე. ი. სულ დაუზღვევლობას კერძო საზოგადოებაში დაზღვევა ვამჯობინოთ (იხ. «Труды III съезда», докладъ Г. Здановича, გვ. 13—14)...

\*) ეს ცნობები ამოღებულია ბელიკარის მოხსენებიდან, რომლის შინაარსი მოყვინილია ახალ დაარსებულ რუსულ ჟურნალში: „Промышленность и здоровье“. წიგნი I, გვ. 57.  
\*\*) იქვე გვ. 27.

### წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტო! ამ უამბო 23 კაცამდე ვართ ქართველობა ეწევაში. ჩვენი მდგომარეობა არც ერთის მხრით არ არის სახარბიელო. ჩვენს ქვეყანას სრულიად მოწყვეტილნი ვართ, არა გვაქვს აქამდის არც ქართული წიგნები არც ქართული ჟურნალ-გაზეთობა. გარდა ამისა, არც ქონებრივით ვართ კარგ მდგომარეობაში.

ეს რამდენიმე კვირაა განვიზრახეთ დაგვეარსებინა საერთო დახმარებელი კასა და ქართული წიგნთსაცავი. მაგრამ ჯიბე-კარიელ ხალხის მიერ დაარსებული კასა ქართულ სენისაგან ვერ გავვეკურნავს. ახლად დაარსებულ წიგნთსაცავში კი სამი წიგნიც არ მოიპოვება. ისევ და ისევ საზოგადოებას უნდა მივმაროთოთ, რომ დახმარება აღმოგვიჩინოს. ვსთხოვოთ ყველას, საზოგადოების ყველა წევრს, შეძლებისა დაგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფულით თუ წიგნებით ჩვენს კასასა და ბიბლიოთეკას. დიდი დახმარება იქნება ჩვენთვის აგრეთვე, თუ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი უფასოდ გამოგვიგზავნიან თავიანთი გამოცემებს. ამხანაგებრს მონდობილობით

ა. საყვარელიძე.

ადრესი: M-r A. Sakwarelidze 9, route Caroline. Genève, Швейцария.

ჩვენი საზოგადოებისათვის ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი საზღვარ გარეთ მრავლდება. მაგრამ საჭიროა საზოგადოებამ, შეძლებულ ქართველებმა, თავისი სიამოვნება და თავისი სიყვარული ერთადერთად დაამტკიცოს იმით მაინც, რომ ნივთიერათ დაეხმაროს უცხოეთში სწავლის შესაძენათ გადახვეწილ ახალგაზღვრებს. თუ გულის გულობს—ეს ადვილი საქმეა და საზოგადოების ეს ნაწილი, რომელსაც ქონება ნებას აძლევს, მოვალეცაა ზიარდინოს უცხოეთში მყოფ ქართველ მოზარდთათვის თავისი წვლილი და ამით გაუადვილოს მას ცოდნის შეძენა და ევროპის ცხოვრების გაცნობა.

„კვალის“ რედაქცია მზათა მიიღოს შემომწირველთაგან ეწეველ ქართველ მოწაფეთა გასაგზავნათ როგორც ფული, ისე წიგნებიც.

„კვ.“ 39 №-ში მიმართულ რედაქციისადმი წერაღში მე ვაშლიე „ივ.“ კარესზონდენტი ვლადო ბზვანელი სამტრედიის შესახებ ცრუ ამბების „ივერიანთის“ მაწოდებაში 181 №-ში. აქ კარესზონდენტი გატაცებული კერძოთ ორი ჰიარის შექებით ამბობდა: სამტრედია ამ პლფო ხანებში გამოტოცხლდა: ბოქაულ მახარამის წყალობით ძველი ბადლოთეკა-სამკითხველო „აღსდგა შევდრეთითო“. იმავე ბოქაულის თაოსნობით ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიანათ გადაკეთდა“ და დაბისვე ბოქაულის ა. მირიანოვის და სხვათა თაოსნობით შესდგა განახენი ქსენონის დაარსების შესახებო“. ა. მირიანოვის წყალობით უნდა დაარსებულყო აქაურ ორკლასიან სასწავლებელთან საკვირაო სკოლა და სხვა ამისთანები.

ამაებზე ბ. ვლადო ბზვანელს უნდა მოვასხენოთ, რომ ბობლიოთეკა-სამკითხველოს ეხლანდელ მდგომარეობას თუ აკითხვს, მისი «ადგენა» ადგილობრივი ვაჭრების საქმეა. მის დაარსებაში კი არც ერთ ბოქაულს თავი არ აუტკივებია. იგი ადგილობრივი მცხოვრებელის მ. გუგუიშვილის და სხვათა შევადინებოთ იყო დაარსებული და თუ მათმა დაწეებულმა საქმემ დროებით წაიფარხიდა,—ეს ჩვენებურა ჰროვინციალური მოვლენაა. ხოლო რაც შეეხება ქსენონის შესახებ ა. მირიანოვის და სხვათა თაოსნობით განახენის შედგენას,—ესეც, როგორც ვამბობდი 739 №-ში, ვლადო ბზვანელისებური მოჭორილი ამბავა. და თუ ხალხს კეთილი ახრი დაუბადა და ეკვლეისინ ცალკვანში თავისმყოფით მოიღაზარაკეს

ქსენონის დაარსების შესახებ,—ეს სრულებითაც არ ნიშნავს მის დაარსებას, როგორც ვლადო ბზვანელს გონია, და მას ვინ არც ელვებასაც, ვინ იცის როდის ვეღარსებით საქმე და რა ქვეყნით. რაც შეეხება სამტრედიის ერთკლასიანი სკოლის ორკლასიანად გადაკეთებას, ესეც აქაურ ვაჭრებს ეკუთვნის და მათ შეთავაზო და საქმის რეგანათ გამძღოლათ სპირდოს სახარუდიე და სტეფანე სტურუა უნდა ჩაითვალოს და არა თქვენ მიერ დასახელბული ჰირები. ვლადო ბზვანელი სიხარულია წერს „ივერიის“ ფურცლებზე ა. მირიანოვის თაოსნობას სამტრედიის საქმეებში და გონია, რომ აქ საკვ რაო სკოლა უკეუ არსებობს, რაკი „მაწავლებელმა აღუთქვეს სწავლებო“, მაგრამ, სამწუხაროთ, არც ეს არის მართალი, თუ სასეში არ მივიდეთ ვახეთებში ვლადო ბზვანელისებურ მოჭორილ ამბებს ამას შესახებ.

ბოლოს მოვასხენებ ვლადო ბზვანელს, რომ მე ჰროვინციის ცხოვრებას ამბების გამოქვავებების წინააღმდეგო არ ვუფთვილვარ და არც კიქნები, მხოლოდ თქვენ და თქვენებურათ ნადრკვათ ვიარდის და შეითხველების შევდამში შეეკანის წინააღმდეგო ვი ვარ. ეველა შეითხველმა იცის უხეირო თავმომწონე ადამიანებას, რომელთაც ეოკვლ სიცრუეში მართლად უნდათ ვასვლას და მასთვის ღანსძკა-გინებას და სიმართლას ვაბრუნდ-ვაბრუნდებებს იწეებენ, თვარა რას მოასწავებს ვლადო ბზვანელის წერილი ჩემ შესახებ, ჰირეული და მეორე წერილი «ივერიისში» დაბეჭდილა. მაგრამ რადა «კვალის» შეითხველი შეეწერო—ჩვენგან დასახლებული კაცები რეიანათ და სიმართლით ვამარკვევენ და შეითხველებს ამცნობენ, ვინ სტეუის და ვინ მართალია და ამისთვის თქვენს წინააღმდეგს—მედატორული წესით ამ საქმეში ვასწორებას ვეთანხმები, რადგანაც იმედი მაქვს ადგილობრავ საქმის გამოკვლევა სიმართლეს ადადგენს, მხოლოდ იმ ჰირობით, რომ ვამტუუნებულმა მხარემ 20 მანეთი ვადანსადოს სასაღხო წიგნების გამოსაცემ თანხის სასარკებლოთ და არა არარსებულ სამტრედიის სკოლარაო სკოლასთვის, როგორც თქვენ ბრძანებთ. რაც შეეხება ჩემს ნიღბის ასხნას, თუ მოსიურკებთ ვასრულებთ თქვენს სურვილს, თუ კი თვითონ თქვენ აინდით სიღაბს და დასახლებო მედატორებს

ნალბანდიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

იოსებ ივანაშვილის გამოცემა, № 21.

### მ. გოგობის

12 მოთხრობა, ივ. გომართლის კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით. ფასი 60 კაპ. იყიდება გამომცემელთან (თფილისში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ). ფოსტის აღრესი: Тифлисъ, Книж. Торг. Иос. Зах. Имелашвили. აქვე იყიდება მიივე გამოცემა № 22. **კაცი ვარ და ჭული მხურავს**, კომედია სამ მოქ. ივ. რვე. ვაჩნაძისა.

ცემოვიდა და იყიდება

ამათა თავართქილაქიანის გამოცემაული

კედლის (ფასი 40 კ.) და საყოველთაო (ფასი 20 კ.)

## კალენდრები

შამდეა ქალაქიანი:

ტფილისში—გამომცემლების წიგნის საწეობში, სერგეივის ქუჩა, № 1, და ეველა წიგნის მალახიებში. ქუთაისში—უმთავრესი საწეობი მ. ღაღაძის წეღის ქარხანაში, „ი. გოკიელოვი და შეიღები“-ს სავაჭროში. ნ. ჭახელიძესთან და ეველა წიგნის მალახიებში. ბათუმში—უმთავრესი საწეობი—დაკლებულფასებში,—

„დომინიკის და ბერძენიშვილის“ სავაჭრო სახელში და სხ. ჭედი-  
ძესთან. სოხუმში—კ. წყაროსთან ფოთში—ბ. საბასტარაშვილის  
წიგნის სავაჭროში და სხვ. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვინც გაშე-  
ცემლებიდან დაიბარებს, დაეთმობა 40—50 პროცენტამდე.

კაღენდრები ბევრად შეესუსტება და გაუმჯობესებულია უკვე ივე  
ცნობებით (3—1).

# 1903 წ ე ლ ს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით,  
როგორათაც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუშანია**. ამ ფუ-  
ლის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისთვის და ერთ თუ-  
მანს წარმადგენს, ამა ნაებრისა და დეკემბრის ნომრები მუქათათ  
გაეკზავნება.

## ხ ე ლ ს-მ ა წ ე რ ა მ ა ი ა დ ე ბ ა :

ტფალისში—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარ-  
ვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კიოხვ. გა-  
მავრც. საზოგ. წიგნის მალაზია (სასახლის ქუჩა; თავ-  
აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მალაზიებში,  
ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკოში, აგრეთვე  
სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და  
ქელიძის წიგნის მალაზიაში.

ფოთში—ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუსთან.

ბაქოში—ხილდეკელის წიგნის მალაზია (ნიკოლოზის ქ., ქა-  
ლანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში:—(ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელი-  
ძესთან.

საბუნჩაში—პეტრე მაქავარიანთან.

შორაპანში—პარტენ ნასიძესთან.

განჯაში—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზე).

გორში—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზე—10 კაპ. სტრ., მეოთხე-  
ზე—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე შორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ.,  
9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—მ. 50 კ., 5-თ—5 მ.  
50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ.  
55 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო აღრესი: **თიფლის, Редакция „Иверія“.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ—(X г. изданія журнла).

## „ХОЗЯИНЪ“

Подписная цѣна: на годъ 6 руб., на полгода 3 руб., на мѣс.  
60 коп. съ пересылкой.

За границу: на годъ 8 руб., на полгода 4 руб. Отдѣльные  
нумера 20 коп.

Разсрочка по одному рублю въ теченіе первыхъ шести мѣ-  
сяцевъ.

Объявленія по 10 коп. за строчку петита въ одинъ столбецъ  
(4 столбца на страницѣ).

Подписчики въ 1903 г. получаютъ бесплатно слѣдующія 6 книгъ «БИБЛЮ-  
ТЕКИ ХОЗЯИНА»:

1) **КРУПНЫЙ РОГАТЫЙ СКОТЪ** въ условіяхъ русскихъ хо-  
зяйствъ. Сборникъ статей покойнаго А. А. Армфельда. Съ пор-  
третомъ автора.

2) **ВОЗДѢЛЫВАНІЕ КАРТОФЕЛЯ** по даннымъ науки и практи-  
ки. Проф. С. М. Богданова.

3) **КОНЕВОДСТВО**. Практическое руководство къ разведенію  
рабочихъ лошадей. Ф. Ольденбурга. Переводъ съ нѣмецкаго.

4) **РЫБОВОДСТВО**. Практическое руководство къ разведенію  
рыбъ. А. Веедера. Переводъ съ нѣмецкаго.

5) **СѢМЕНА ЛУГОВЫХЪ ТРАВЪ и КЛЕВЕРА**. Руководство къ  
опредѣленію и изслѣдованію сѣмянъ. Д-ра Л. Виттмана. Переводъ  
съ нѣмецкаго. В. Г. Доппельмайра Съ 12 литографирован. таб-  
лицами и 25 рисунками.

6) **КУЛЬТУРА КОРЗИНОЧНОЙ ИВЫ** В. Геммерлинга. Перев. съ  
нѣмецкаго. Съ 6 литографированными таблицами и 30 рис.

Контора и Редакція С.-Петербургъ. *Невскій, 92.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНІЯ)

На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ

## НАУЧНОЕ ОБЗРѢНІЕ.

Подъ ред. М. Филиппова, при ближайшемъ участіи проф. С. Гла-  
зенапа, проф. Л. Петражицкаго и проф. В. М. Шимкевича.

„Научное Обозрѣніе“ имѣетъ цѣлью знакомить читателей  
въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской  
мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ то же  
время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣ-  
нія“, при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произ-  
вести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ науч-  
ныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

### НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вни-  
маніе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ  
органяхъ преимущественно иностранныхъ, причемъ имѣются въ  
виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить  
за иностранною печатью—Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ бу-  
дутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и  
государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли  
на себя: отдѣла „научныхъ новостей“ проф. С. П. Глазенапъ,  
отдѣла социально-юридическаго проф. Л. Петражицкаго и отдѣла  
біологическихъ наукъ—проф. В. М. Шимкевичъ.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ“ (для Самообразованія)  
принимаютъ участіе учредители русской парижской школы Об-  
щественныхъ наукъ: проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Кова-  
левскій, проф. М. Тамашевъ, Е. де-Роберти, члены одесскаго  
лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Сиб. 7 р. Съ  
доставкой и пересылкою по всей Россіи 8 р. Разсрочка по два  
рубля за четверть года. За границей 10 р. Адресъ Главной Кон-  
торы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ

*На еженедѣльную финансово-экономическую,  
торговую и промышленно-техническую газету.*

## „ПРОМЫШЛЕННЫЙ МІРЪ“

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой и доставкой:  
на годъ—10 руб., полгода—5 р. и четв. года—3 р.

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ,  
Коломенская ул., д. № 1. и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Пробные № № высылаются по первому требованію **БЕЗПЛАТНО**

Редакторъ-Издатель **А. С. ЗАЛШУПИНЪ.**

При каждомъ №, независимо отъ другихъ приложений, подписчики получаютъ по одной книгѣ, а новые подписчики, выписывающіе также (за 1 р. 50 к., съ перес. 2 р.) первые 12 томовъ соч. Лѣскова, получаютъ ихъ при первомъ номерѣ за 1903 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА 1903 ГОДЪ

(34-й годъ изданія)

на ежен. иллюстрированный  
ЖУРНАЛЪ  
со многими приложениями

# НИВА.

Гг. подписчики „НИВЫ“ получаютъ въ течение 1903 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала «НИВА», заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ  
40 ТОМОВЪ «Сборника Нивы» (каждый отъ 10—15 листовъ, въ общемъ около 9.000 страницъ), содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ  
СОЧИНЕНІЙ ВЪ  
16 ТОМАХЪ АНТ. П. ЧЕХОВА

(цѣна въ отдѣльн. продажѣ 17 р. 50 к.), которое будетъ отпечатано четкимъ ирифтомъ на хорошо-глазированной бумагѣ и будетъ выдано въ теченіе 1-го 1903 г. и остальные

24 ТОМА Н. С. ЛѢСКОВА  
ПОЛНАГО СОБРАНИЯ  
СОЧИНЕНІЙ

(цѣна въ отдѣльной продажѣ 17 р.), значительно дополнена многими произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія, въ томъ числѣ: По поводу „Нрейцеровой сонаты“, „Мелочи архіерейской жизни“, „Расточитель“ и друг.

„Ежемѣсяч. литератур. и популярно-научн. приложений“,  
12 книгъ содержащихъ романы, повѣсти, рассказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библиографіи, музыки, смѣсн, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 200 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ», выходящихъ ежемѣсячно. До 200 столбцовъ текста и 300 модн. гравюръ. Съ почтовымъ ажиокомъ для отвѣтовъ на разнообраз. вопр. подписчиковъ, рисунковъ (около 300) для рукодельныхъ и вышивальныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

12 ЛИСТОВЪ

1 „Стѣнной календарь“ на 1903 г., отпеч. въ 9 красокъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всеми приложениями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—7 р. 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «ОБРАЗОВАНИЕ» (Ришельевск., № 12)—7 р. 50 к. Съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 р. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ ВО ВСѢ ГОРОДА И МѢСТНОСТИ РОССИИ 8 руб. За границу 12 руб.

Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока.

Новые подписчики, желающіе получить, кромѣ «Нивы» 1903 г. со всеми приложениями,—еще первые

12 ТОМОВЪ полнаго собранія соч. ЛѢСКОВА, приложенные при «Нивѣ» въ 1902 г., доплачиваютъ одновременно при подпискѣ: безъ доставки въ СПб. 1 р. 50 к.; безъ дост. въ Москвѣ и Одессѣ 1 р. 75 к., съ дост. въ СПб. и съ перес. иногороднымъ и за границу—2 р., такъ что подписная цѣна составляетъ: безъ доставки 1) въ С.-Петербургѣ—8 р., въ Москвѣ у Н. Печковской—9 р., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «Образование»—9 р. 25 к., съ доставкой въ С.-Петербургѣ—9 р. 50 к., съ перес. во все мѣста Россіи—10 р. и за грар.—14 р.

Требованія просить адресовать: въ С.-Петербургѣ, въ Главную Контору журнала «НИВА» (А. Ф. МАРКСУ), улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ЕЖЕНЕДЕЛЬНУЮ ГАЗЕТУ

# „АРГОНАВТЪ“.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ.

Годовая плата для городскихъ подписчиковъ—5 руб., для иногородныхъ—7 руб. На полгода: для городскихъ—3 руб., для иногородныхъ—4 руб.

Отдѣльные №№ по 15 коп.

Бывшіе подписчики газ „Аргонавтъ“, внесшіе плату за 1902 г., будутъ получать возобновленное изданіе до 15 іюня 1903 г. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать „Аргонавтъ“ до 1 января 1904 г. вносятъ дополнительно 3 рубля.

За объявленіе взимается: за строку петита 10 коп. Годовыя объявленія со значительной скидкой.

Подписка и объявленія принимаются: 1) въ редакціи „Аргонавта“ (Сергиевская, д. № 2) ежедневно отъ 10 до 2 ч. 2) въ Центральной книжной Торговлѣ (Головинскій, д. Мириманова) и 3) въ табачномъ магазинѣ „Гаванна“ (Головинскій, д. 3). Иногородные адресуютъ: Тифлисъ, редакція „Аргонавтъ“.

Вр. редакторъ Р. А. Іоаннисіани.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисъ политическую и литературную ежедневную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

на 12 мѣсяц.	. 7 р.—к.	на 6 мѣсяц.	. 4 р.—к.
» 11 »	. 6 „ 50 »	» 5 »	. 3 „ 50 »
» 10 »	. 6 „ — »	» 4 »	. 3 „ — »
» 9 »	. 5 „ 50 »	» 3 »	. 2 „ 50 »
» 8 »	. 5 „ — »	» 2 »	. 2 „ — »
» 7 »	. 4 „ 50 »	» 1 „	. 1 „ — „

За границу на годъ 14 р., на полгода 8 р., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисъ, въ конторѣ газеты, Баятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемые болѣе одного раза на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учреждений Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и загранич. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К<sup>о</sup> въ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 коп.—на 1 стр.

(3—1).